1898 მარტი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილ.ისა“

I მდინარე ლექსი—შ. მდვიმელის. 3
II გაზაფხული (ამბავი)—თ. რაზიკაშვილისა 4
III ერთი დღის დაია (ფრანგულიდან)—ვ.ნ.ოსი. 10
IV ძაღლი და ცხვრის ფარა ლექსი (გადმოკეთ.)—ფ. რუშაველისა 13
V ქალაქელი ძმია-ბოთხრობა—ვ.ნ.ოსი 15
VI ახალი ქვეყანა (დასასრული)—ვ.ნ.ოსი. 25
VII ფიზიოლოგიური წერილები—საზრდო და მისი წყარო—
ივ. გომართელისა 37
VIII ხარება—თ. ვ.ნ.ელაკაისა 42
IX საკვირველებანი ბუნებისა № 13 ბამბუკი—ლ.ლ.ო ალნია-
შვილისა 48
X ლუელინი და მისი ძაღლი (ინგლისურიდან) - ინგლისელი
ქალისა 51
XI სწავლული შვილი—ვ. ს—ძ. 54
XII სამეცნიერო გასართობი № 4 ტრაემატროპი—ბორასი. . . 55
XIII წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, მათემატიკური
გამოცანა, უჯრების გამოცანა, შარადა და სხვა 57

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეპეზარხოსის დამტკიცებისა, თბილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებული იქმნას სახმარებლათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჭ.

№ III

წელიწადი მეცხრე

ტფილისი

სტამბა მ. ჭ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гор. пр., д. № 41.

1898.

Дозволено цензурою Тифлисъ, 6-го Марта 1898 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ დ ი ნ ა რ ე.

(ავტრი ნასესხებია)



რა ანკარა ხარ, რა ტურფა,
ჩვენო ლამაზო მდინარე,
არ უნახავხარ ჯერ ალაცსა
მოსვენებული, მძინარე.

—

მოდიხარ მაღლა მთებიდან
ტყე-ჭალებს შუა ჩქეფითა
აქ მინდვრებს გვირწყავ, გვიკაზმავ
მრავალი ყვავილებითა.

—

ჩვენ წყურვილს გვიკლავ, გვაგრილებ
შენი ანკარა წყალითა,
ეს კი გვწყინს, მირბი ჩვენგან შორს
და ვეღარ გხედავთ თვალითა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაჯაფხული.

(ამბავი)

ჯერ ისევ ყინვა მეფობდა და ბატონობდა ზამთარი; ჯერ ისევ ზამთრის შიშითა იჭუჭკებოდა მთა-ბარი. ბარათ, მტკვრის ველზე ერთათ შეყრილიყვენ: ყინვა, თოვლი და ნამქერი. ზამთარიც იქ იყო და დიდათ თავმოწონებული შეჰკვეხოდა თავის ხელ-ქვეითებს.

— რა სულელია ხალხი, რა უჭკუონი და უტვინონი არიან ეს ორფეხა ჭია-ლუები, ადამიანებს რომ ეძახიან! საწყლები! ეითომ იციან კიდეც რამე. ოთხმოცდა ათი დღის მეფობა დამიწერეს, მარტო სამ თვეს უნდა იბატონოსო. ის კი არა, თუ მე ოთხ-ხუთ თვესაც არა ვჯერდები. ეს სულ ამ სამხრეთის ბრალია, მზე ახლო ახლავთ და იმისი იმედი აქვთ. ახლა ჩრდილოეთისკენ წავიდენ, თუ ჩემი დიდების შეტყობა უნდათ,— რა ყინულის ციხე-ქალაქები, სრა-სასახლეები მაქვს გადაჭიმული. აბა ჰკითხეთ ჩრდილოეთის მცხოვრებთა და ჩემი ძლიერების ამბავს ისინი გეტყვიან უტყუვრათ.

— ფიცი არ უნდა, დიდებულო მეფევ ზამთარო, ხრიტინებდა ნამქერი, თითქო ყელზე თოვლი ადგებაო.— მართალსა ბრძანებთ, თქვენ ძალას რაღა ქება უნდა.

* * *

ამ დროს, ნამქერისგან გატიტვლებულ ადგილებისთვის მზეს მოესწრო, და რაც დანარჩენი თოვლი ეფრქვია, გაედნო, მიწაც გაელხო და აეტალახებინა. ამ ალაგებში ენძელას თავი ამოეყო და ზა-

მთრის ბაქიბუქს ყურს არ უგდებდა. ზოგი თეთრი იყო, ზოგი სოსანი, ზოგიც ბაცი წითელი.

— მშვიდობა შენდა, გაზაფხულის სტუმარო, მშვიდობა შენსა მოსელასა. მრავალ წელსაც გვახარებ გაზაფხულის მოსელასა. გიშველა ღმერთმა, რომ ზამთრისგან დაჩაგრული გული გამიმხიარულე. —ეუბნებოდა ცალ ფეხზე მდგომი ღალღა ენძელას და თან თავის გძელ ნისკარტს მიწაში ურევდა.

— არ გეშინია ზამთრისა, რომ მაგრე გულადათ ამოსულხარ? უყურე ამ შენს ახლო მდებარე თოვლსა, რამდენია! ან ნამქერისა არ გეშინია? დაუბერავს ნამქერი, დაჰქროლავს, დაიგრიალებს და ამ შენ ადგილს ყელამდე მოჰყრის. ხომ დაიღრჩვე იმოდენა თოვლისაგან, ხომ გაიჭყლიტე! მე ჩალა-ლერწმებში ვიმალები ხოლმე იმისი შიშით და ვაფარებ თავსა. მესმის ხოლმე, როგორ ზუზუნებს და ხვიეის ნამქერი. მესმის ჭილს რომ ჰკითხავს ჩემ ამბავს:

— „აქ რომ ღალღა დაიმალა, მითხარი სად არის, ჭილო, შე ეშმაკის კერძო, თასმასავით რომ იგრიხები, მიჩვენე იმისი ბინა“!

— არა ვიცირა, ან შენ ვის ეძებ, ან ვინ დაგემალა, უპასუხებს ჭილი,—არავის ჯაშუში არავარ, მე მოსულ-წასულების გზას არ ვუცქერი“.

მესმოდა, როგორ გაჯავრდა, გაბრაზდა და ხრიტინებდა ნამქერი, როგორა ჰგრეხდა ჭილსა და დედა-მიწაზე აწვენდა.

— მშვიდობით, დაო, მშვიდობით, ფრთხილათ იყავ, ზამთარს ნუ ეხუმრები, მე ბევრჯელ მიწვნევია მაგისგან წვენი, —ეთხოვებოდა ღალღა ენძელას და თავის გძელი კანჭებით ჭაობებისკენ მიაბოტებდა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ღალღა, მეც ამ დროსა ვყვავი და ზამთრისგან გულ გატეხილებს იმედს ვუღვიძებ, მოტიტვლებულ უსიცოცხლო მინდორზე აყვავებულს რომ მნახვენ, თორემ ზაფხულში მე სადღა გამოეჩნდები! მშვიდობით, მშვიდობით, წადი!

* * *

ზამთარს ქრისტეშობისთვე და იანვარი წასვლოდენ. თებერვალს მოელოდა, მგონი მოსვლოდა კიდეცა. დიდ სიხარულში იყო ზამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი. სად მთები თოვლით გადაელესა, ხევები ნამქერით აემსო, მდინარეებზე, ხევებზე, ტბებზე ყინულის ბოგირ-ხიდები გაემართა. წყლის პირას მდგომ ბუჩქნარ-ბუწკნარებს თოვლი ყელამდე მოსდგომოდა.

— ფუ, ფუი, იბერავდა და იფურთხებოდა კატა-ფშატა. ლამის ამ ნამქერმა თოვლში ამომაღრჩოს, პირი და ყელ-ყური სულ თოვლით გამომიესო.

— ეჰ, შე მამაცხონებულო, შენ ყელ-ყურსა ჰჩივი და მე კი აღარა მკითხავ, ლამის წელი მომწყვიტოს ამოდენა არზანმა. იძახდა თოვლიდან გამომძერალი კერინჩხი და თან იბერტყებოდა. ამ ოხერმა მომიმწყვდია ქვეშ და ზემოდან დამაწვა. სამი დღეა, სული არ შემიქცევია, კინაღამ დამაღრჩო.

— სამი დღეა ბალახი თვალით არ დამინახავს, ბუზღუნებდა კურდღელი; ვთხრი ფეხით თოვლსა, მინდა გამოვაჩინო ხმელი ჯოყარი მაინც, ვეფლობი შიგ, ლამის მეც დავიღრჩო, თორემ ბალახს კი რას დავუწვდენ. ხის ქერქს ღა ვხრავ და იმით ვსაზრდოობ.

ბელურა ჩიტები საბძლებსა და დერეფნებში იმალებოდენ. ყვავიც კი მობუზულიყო და საცოდავი ხმით ჩამოჩხაოდა მბოლავ ბუხრებს. ალბათ სუნი თუ მისდიოდა ცეცხლზე შედგმული საჭმლისა.

***

—ადიდოს და გააძლიეროს დიდი და სპეტაკი ქვეყნის მპყრობელი ზამთარი! დღეგძელ ჰყოს უფალმან ჩემი მბძანებელი უკუნითი უკუნისამდე! მიესალმა თავდაბლათ თავდახრილი თეთრ სამოსლიანი თებერვალი ზამთარს.

— აბა რა ამბავი მომიტანე ურჩი ქვეყნისა, ჩემო ყოჩაღო თებერვალო, ღალატი ხომ არსად შენიშნე, ჩემ ბრძანებას ხომ არ ეურჩებიან, ხომ ეშინიათ ჩემი? რას ამბობენ, წინააღმდეგობას ხომ არსად წააწყდი?

— თქვენი და ღვთის წყალობა ნუ მომაკლოს საშვილიშვილოთ! თქვენი ყველას ეშინია. ისეთს არავის შევხვედრიეარ გზებზე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანკალს არ აეტანოს და სიცივით ჭიაყელასავით არ მობღუნ-ძულიყოს. ხალხი სულ სახლებში იმალება. შიშით თავს ვერავინა ჰყოფს გარეთა. წუხელ სოფელში ჩამოვიარე, ვახშმობა იქნებოდა, ჯერ ერთ კარებთან მივედი, სინათლე არ გამოდიოდა, შეეიხედე, რას დავინახავდი, ყური დავუგდე, კვნესა ისმოდა.

— მოეკვდი სიცივით, იძახდა თავგანწირულებით ვიღაცა, ნეტა ერთი ღერი შეშა მაინც იშოვებოდეს სადმე, ლამის ბალღები სიცივით დამეხოცონ. წუხელაც აკვნის ბავში გაფიჩხებულიყო აკვანში. ბევრი ვათბეთ, ვზილეთ, მაგრამ ველარ გამოვაბრუნეთ!

— ვაიმე დედავ, ვაიმე, მცივა, მცივა, დამხურეთ ეს საბანი! წრიპინებდენ საცოდავათ ბალღები.

დედა იმედს აძლევდა:—მოითმინეთ, შვილო, მოითმინეთ, სადაც ბევრი გაეძელით, შვილო, ცოტაც მოვითმინოთ. საცაა მარტი დადგება და ძველები გაგვითბებაო.

ახლა სხვაგან ჩავიარე. სინათლე გამოდიოდა, ჭრაქი ებჟუტათ, ერთი მუგუზალი იდვა ბუხარში, სულ იმას შემოხვეოდენ, ზოგს ფეხები წაეყო ნაცარში, ზოგს გვერდი მიებრუნებია, ზოგნი უბერავდენ. იქაც ზამთარზე იყო ლაპარაკი.

— რამდენი ზამთარი გვინახავს და ამისთანა ულმერთო ყინვიან ზამთარს არ შევსწრებივართო. კიდევ მადლობა ღმერთს, თუ ცოცხლები გავახწევთო. ზაფხული ღონიერიაო. საცაა გაზაფხული დადგებაო. სადაც მიველ, სულ გაზაფხულზე ლაპარაკობდენ. არ მომწონს ამისთანა ლაპარაკი, მარა როგორ დავაშლევინოთ, არ ვიცი რა ვუწამლოთ,—ამბობდა თებერვალი.

— სხვა კიდევ რა ამბავი? იკითხა ზამთარმა,

— არ მომწონს ეს დრო, არ მომწონს, ნაღვლიანათ წუწუნებდა თებერვალი.—სულ რაღაც ურჩობის ხმა ისმის, რაღაც სხვანაირი სუნი ტრიალებს ჰაერში. ჩვენ ჩვენსას ვშვრებით და მინდორს და ტყეს რო უცქირო, თითქო ფშვინვენ, თითქო დაცოცხლდენ, თითქო რაღაცას ემზადებიან. სადაც კი მშრალი ადგილებია, სულ წითელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელი ენძელებით ამსილა. წნორები და ტირიფ-დენალები სხვა ფერზე ბზინვენ. შემოდგომაზე ხეხილებს თითობეწვა კვირტები ჰქონდათ, ახლა გამსილან, დაბერილან, დაჭიკნულან. მზეცა გვლალატობს, სულ მაღლა-მაღლა მიდის და დღე მატულობს. სულ ამ გაზაფხულის ბრალია, გაზაფხულისა! იმას არაფისი ეშინია კაცებიეით. ოჰ, იმისი ჯაერი!

ამ ამბებზე ზამთარმა შუბლი შეიჭმუხნა, გრძელ თეთრ წვერებს ხელით ასწია და შეუბერა. საშინელება რამ მოხდა. ატყდა საზარელი ქარი და გრიგალი, დატრიალდა თოვლის სვეტი და სვეტი. დაბნელდა მზე, დაიბურა ცა და დაიწყო შესაზარავათ სტვენა ქარმა.

თითქო ნიჩბებითა ჰყრიანო, დაიწყო თოვლის ყრა, გაიმსო ქვეყანა თოვლით. გაიჭედა ხეები და ღელეები. მოიყარა ყელამდე ტყე და მინდორი. შეხედა ზამთარმა თავის ნაქნარს, ფრიად იამა. ახლა კი ენძელებიც დაიხრჩობოდენ, ხეებიც დაიმტვრევიან და ეველარც ქიქო გაბედავს მიწიდან ამოძრომასა!

მოისვენა გული ზამთარმა; ასე ეგონა, ეს არის გაზაფხული ეველარ მოეაო. გაშალა თავისი თეთრი კარავი და მოსვენებას მისცა თავი. მარა მზეს არ ეძინა,—გაზაფხულის წინამორბედი, თეთრათ შემოსილ დედამიწას აჭერდა და შეშინებულ შემკრთალი თოვლი დედამიწაში ძვრებოდა წყლის ცვრათ ქცეული. ზამთრისაგან გაკეთებული ყინულის ხიდ-ბოგირები ინგრეოდა, ტყდებოდა და ხრიალით წყალი მიაქანებდა. თეთრი ფერის მაგივრათ მწვანე ფერი ედებოდა არე-მარეს.

თითონ გაზაფხულიც შორს არ იყო. მოწინავე მახარობლები კიდეც მოსულიყვენ და გაზაფხულიც თავის ბრწყინვალე ამალით უკან მოდიოდა.

— გაალე კარი! მოესმა ხმა ზამთარს, ქვეიფში მყოფს, და თან ძალიან დააკაკუნეს კარები.. გაალე კარი! მოისმა კიდევ.

ზამთარი ამ ხმაზე შეკრთა, ფერი ეცვალა, ხმა ეველარ ამოიღო. მომაკვდავს დაემსგავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-- დამიცალე კარავი, გააღე კარი! მოისმა კიდევ ხმა და ეს უბრალო ხმა ჭექა-ქუხილათ გადაიქცა. თითქო დედა-მიწა დაინგრაო, მინდორი და მთები სულ იძეროდენ ამ ქუხილისგან. მოხსნა პირი და დაუშვა შხაპუნა წვიმამ. კაი ხანი ისმოდა ხეევების ღრიალი და შორეული ქუხილის რაკ-რაკი. როცა ყველა დამშვიდდა, ღრუბელი გადაიყარა, ცამ გამოინათლა და მზემ გამოაშუქა,—ზამთარი აღარსად ჩანდა. აღარც იმისი კარავი. ჭალებში მურყნები საამურათ მწვანეთ ბზინავდენ.

ჩირთი შემოვიდა, ჩირთი! გაზაფხული მოვიდა, გაზაფხული! ისმოდა აღტაცებული ხმა სულდგმულთა.

თ. რაზიკაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი დღის დაია.

(ფრანგულიდან).



მბობენ, რომ ოდესღაც, როცა ერთი ასლათ დაბადებული ბავში აკვანში ჩაწვინეს, მისი ნათლიები, გულკეთილი ფერიები, გარშემო შემოეხვიენ და სათითაოთ საჩუქარი მოუტანესო. ერთმა სილამაზით დააჯილდოვა, მეორემ სიბრძნით და მესამემ ბედნიერებითო.

მაგრამ ეს ზღაპარია, რადგანაც ფერიები არ არსებობენ. მართლაც ერთი დღის ბატარა დაიას თაჯის ნარმის ქვეშ ეძინა, მარა დილაზე ფრთებიანი ქალი არ ჩამოსულა ციდან და არ შემოფრენილა ღია ფანჯარაში.

საწყალი ერთი დღის ბაწაწკინა დაია ერთობ ნაზი და სუსტი იყო! მას არაფერი არ შეეძლო, არაფერი არ იცოდა და არაფერი არა გააჩნდარა! მას არაფერი არა ებადარა, თუ არავინ აჩუქებდა რასმე; მაგრამ მისთვის საჩუქარს ვინ გაიმეტებდა? ვინ იკისრებდა სამერმისოთ მის ბედნიერებაზე ზრუნვას? ვინ მოუტანდა ერთი დღის ბაწა-

წკინა დაიას შვენიერ საჩუქრებს, როდესაც ფერიები არ არიან? —აკვნის გვერდით კალაოი იდგა. აბა ეურა ვუგ-დოთ, რა მოხდება.

კარი გაიღო: შემოვიდენ. სამი იყვენ. მათ ახლა არც ფრთები, არც ოქროს ფერი ტანისამოსი, არც ცისარტყე-ლასავით ფერადი ჰირბადე, არც ოქროს კვერთხები და ალარც მარგალიტის თვლებით მოჭედილი გვირგვინები ალარა ჭქონდათ.

ყველაზე უფროსი შავთვალა იყო: ეტყობოდა, რომ თორმეტი წლისა უნდა ეოფილიყო, მარა სახეზე უკვე სიდინჯე დატყობოდა. მეორეს, თმა ხუჭუჭას, მხიარული სახე ჭქონდა, სულ იღიმებოდა. უნცროსი ერთობ ცნობის მოყვარე იყო: თვალები გამოეჭყიტა, ჰირი გაეღო და აკვნის წინ თითის წვერებზე იდგა, რომ უკეთ დაენახა.

აბა, რას ინატრით, ბავშებო, ჰატარა დაიასთვის? რა საჩუქარს გაიმეტებთ ამისთვის გულით? რას გვაძლევთ თავდებათ, რომ თქვენ დაპირებას შეასრულებთ? ჯერ უფ-როსმა თქვას.

—„მამა ამბობს, სიბრძნე ადამიანისათვის დიდი სი-კეთე არისო. მაშ ჩემ ჰატარა დაიას სწავლასა და ცოდ-ნას ვუსურვებ; როცა ხუთი წლისა გახდება, კითხვას ვა-სწავლი და კიდევ ეოველისფერს რაც რამ კარგი ვიცი. თავდებათ მე კალათში ვდებ ლამაზ ვარაყიან წიგნს“

მეორემ თავის მხრივ აი რა თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადგანაც დედისაგან გამიგონია, შრომა დიდი საუნჯე არისო, ამიტომ მე ჩემ ჰატარა დაიას შრომის მოყვარეობას ვუნატრი; როცა წამოიზრდება, სახლში ჰატარ-ჰატარა საქმეებს ვასწავლი, მაგალითათ სუფრის გაშლას და განჯინაში საცვლების ჩალაგებას. როცა ათი წელი შეუსრულდება, კერვას ვასწავლი; აი ჩემი თავდებიც: ვერცხლის სათითე, ერთი სანემსე და მაკრატელი თავისი ხავერდის ბუდით"

ყველაზე უნცროსმა კი ველარაფერის თქმა მოახერხა. მას თვალები ცრემლით აევსო, თავის გულში ჰფიქრობდა:

— მე ეს ასე ძალიან მიყვარს, მარა არაფერი ვიცი, რომ ვთქვა, და არც არაფერი გამახსენია, რომ ვაჩუქოცოდნა კარგი რამ არის, შრომაც შვენიერებაა; მარა ვინ უსურვებს ჰატარა დაიას კარგ სასიათს? ვინ ასწავლის ამას, მაგალითათ, გულკეთილობას? ვინ ასწავლის ვინც მოგეფეროს, შენც მიეფერეო? ვინ დაარიგებს, რომ ყვავილები არ წაახდინოს და ჰეჰელებს ფრთები არ დააგლიჯოს ხოლმე? ვინ შეაჩვევს სხვის შებრალებას და წრფელი გულით წყალობის გაცემას?

ამის გახსენებაზე ემაწვილმა წამოიძახა:

— „მაგას მე ვიკისრებ; აი ჩემი თავდებიც!

ამ სიტყვებით ის ჰატარა დაიას მოეხვია და კოცნა დაუწყო.

ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი და ცხვრის ფარა.

(რუსულიდან გადმოკეთებული)

აწანწალა შავი ძაღლი,
მუნიანი, ერთობ გლახა,
ერთხელ მწყემსმა ღობის ძირში
მოკუნტული დაინახა.
შეეცოდა, აიყვანა,
გააძღო და გაახარა,
როს მომძლავრდა, მოსამწყესათ
მას ცხვრის ფარაც ჩააბარა.
დრო გავიდა. მწყემსი მოკვდა.
უპატრონოთ დარჩა ცხვარი,
საწყლები სულ დაწიოკდენ,
არ ჰქონდათ თავ შესაფარი.
მაგრამ წუწკი შავი მურა
ცუდათ როდი გარჯილიუო!!
მას იცოდა, მთელი საქმე
ამფერ დროში რაშიც იუო.
კუდ აგრეხით ცხვრებს მივარდა,
ზოგი სტანჯა, ზოგი ხოცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ გვარი საქციელით
ეველა ცხვრები გაიოცა.
აუაუანდენ; „დალოცვილო,
რა გაწყინეთ, რო გვტანჯავო?
ან ვინ მოგცა ეგ უფლება,
სათითაოთ დაგვატუავო.?“
უპასუხა: „მთელ ფარაზე
უფლება მაქვს მე დიდიო,
რადგანაც რომ ნადირისგან,
ამდენხანსა მე გცვიდიო!
თუ მოგმწყემსეთ და ნადირსა
არ მიგეცით სახრავათო,
მაშ ნებაც მაქვს მოგიხმაროთ
საკლავათ და საწვავათო!“

ფ. რუმაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქელი ძამია.

I.

ლეხი საჩინო ლობიანიძის ოჯახობა სამ თვეში სამჯერ არ გამაძღარა. წელიწადი სრულებით მოუსაელიანი იყო. საჩინოს ორი თვის სარჩო არ მოსელია. დაზამთრდა; თოველი დადვა, მას კი სახლში ორი ჯამი სიმინდი აღარ გააჩნდა. ზაფხულში, რაც თავის საქმეს დრო გადაარჩინა, ქირით იმუშავა და ორიოდე გროშს თავი მოუყარა, მაგრამ რამდენ ხანს ეყოფოდა იმხელა ოჯახს.

საჩინო თერთმეტი წელიწადია ჯვარდაწერილია ამ ხნის განმავლობაში ღმერთმა შვიდი შვილი აჩუქა, სამი ვაჟი, ოთხი ქალი. იმათი საცოდაობით საჩინოს გული ეთუთქებოდა; გაეიდოდა გარეთ, მოეფარებოდა კედელს და თვალებიდან ცრემლები ღელესავით წამოუვიდოდა. ხშირათ იტყოდა ხოლმე: ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ამდენი შვილი მომეცი, შე დალოცვილოვო. გცოდავ, ღმერთო, მაგრამ რა ექნა? ისევ თითონ დაუმატებდა ხოლმე საბრალო საჩინო.—გაჭირვებას ბევრი შეძლებია! ან კი რა ექნა: ზამთარი ციეი იყო; სარჩო აღარ ჰქონდა; ცოლშვილი შიშველ-ტიტველი, მშიერ მწყურვალი ჰყავდა. მოგეხსენებათ, პატარა ბავშს დიდზე მეტი ჭამა უნდა: მისი კუჭი მუდამ საჭმელს ითხოვს, მას ჭამის მეტი არა ახსოვსრა. ექვსივე ერთათ რომ აზიზინდებოდენ, დედილო, ჭადი მინდაო, თამარი დაუყვავებდა: პატარა ხანს მოიცათ, შვილებო! აგერ ხელათ სადილი იქნება. ახლა რომ საუზმე ჭამოთ, სადილი წაგიხდებათო. კარგათ იცოდა, რომ ისინი საუზმის შემდეგ სადილსაც მადიანათ მიირთმევდენ; რა იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მათი საუზმე? ცივი ჭადის ყუას გააფიცხებდენ და იმას შეჭამ-დენ! მაგრამ ექვს ბავშს საუზმეთ ორი ჭადი არ ეყოფა, სამხრათაც ორი, კოდში კი ორი ჩანახი ფქვილი აღარ ეყარა! უფროსი ვაჟი, სოსანა, ათი წლისა იყო. დედმამის გაჭირვებას ჰხედავდა და უმცროსებსავით აღარ აწუხებდა, გულს არ უხეთქავდა მათ. შიმშილსაც, სიცივესაც უსიტყვოთ ითმენდა. ფიქრობდა საჩინო და არ იცოდა, რა წყალში გადავარდნილიყო. ერთი ნიკორა ჰყავდა, შვილსავით უყვარდა; მაგრამ შიმშილით სიკვდილს ისევ იმის გაყიდვა არჩია; ნახევარ ფასათ შეელია: მეტი არავინ მისცა, ძვირი წელიწადიაო.

იანვარი გადიოდა. ნიკორაში აღებული ფული სულ დაიხარჯა. სამუშაოთ წავიდოდა, მაგრამ ზამთარში ახლოს რა სამუშაო იქნებოდა და, შორს რომ წასულიყო, ცოლშვილი ვიღასთვის დაეტოვებია? დიდიხნის ფიქრს შემდეგ საჩინოს ერთმა აზრმა გაუარა თავში: ქალაქში წავალ, სოსანას წავიყვან. იქ ბევრი მადლიანი ადამიანია; მოჯამაგირეთ დაეუყენებ, ორიოდე მანეთს მომცემენ და ორ კვირეს მაინც გამოკვებავ ცოლშვილსო. მეორე დღეს საჩინომ თავისი განზრახვა ცოლს გამოუცხადა. თამარმა ჯერ შორს დაიჭირა, მაგხელა ბავშის ქალაქში მოჯამაგირეთ დაყენება ვის გაუგონია; მაგას ვინ რას მისცემსო; მაგრამ, როცა ქმარმა აუხსნა: თუ არაფერს მისცემენ, თავს მაინც გამოიკვებავს და ისიც კარგიაო, თამარი ჩაფიქრდა და შემდეგ დათანხმდა. ამ ორი თვის წინეთ საჩინომ ტყეში კვდარი კურდღელი ნახა, წამოიღო სახლში, გაატყავა, ტყავს მარილი მოაყარა, რომ აღარ აყროლებულიყო, ბზით გატენა და ზესხვანში ჩამოკიდა, გამომადგება რამეშიო; ხორცით კი მურია მოიმადლიერა. ახლა გაახსენდა საჩინოს კურდღლის ტყავი; ჩამოიღო, გამოფენთხა. ტყავი კარგათ შენახულიყო. დაალბო, გამოჭრა და იმ საღამოსვე სოსანას ბანდულები (ქალამნები) შეუკერა. მეორე დღეს საჩინო ადრე ადგა, სოსანა გააღვიძა, ბანდულები ჩააცვა, შიგ თივა ჩაუტენა, უფრო დათბებაო. თამარს ხომ იმ ღამეს სულ არ დაძინებია. სოსანა მხიარული იყო: უხაროდა, ქალაქს ვნახამო; ისაუზმა. ბის სიცოცხლეში

ეს ერთათ ერთი საუზმე იყო, როცა მას ცივ ჭადს გარდა კვერცხიცა ჰქონდა. ნასაუზმევს ჩამოუარა მძინარ ბავშებს, ყველას გამოეთხოვა და ჩაჰკოცნა. როცა სოსანა დედას ემშვიდობებოდა, თამარმა თავი ველარ შეიკავა და ტირილი დაიწყო, მისმა ცრემლებმა სოსანასაც გული აუჩვილა და აატირა. დედა-შვილის ტირილზე საჩინოსაც თვალები აევლვრა; მაგრამ სწრაფათ იქით მიბრუნდა, რომ შვილისათვის ცრემლები არ დაენახვებია. დიდხანს კოცნა თვალცრემლიანმა თამარმა სოსანას, თითქო ტუჩების მოშორება აღარც კი უნდოდა, რომ საჩინოს არ ეთქვა: კარგი, კმარა, დაგვაგვიანდებაო. გადიწერეს ორივე მამაშვილმა პირჯვარი და გაუდგენ გზას. თამარი კი გულხელ დაკრებილი თავის ქოხის წინ იდგა და დიდხანს მიჩერებოდა მათ, სანამ არ მიიმალენ.

ქალაქამდის კარგა დიდი გზა იყო. საჩინო და სოსანა ფეხით უნდა ჩასულიყვენ, თორემ რკინის გზის ფული სადა ჰქონდათ. სოსანა მარდათ მიჩანჩალობდა; როცა დაიღალებოდა ხოლმე, მაშინ საჩინო მხარზე შეისვამდა. ასე იარეს მთელი დღე, მაგრამ დიდი გზა კი ვერ გაიარეს, რადგანაც წინაღამით თოვლი მოვიდა და გზა გაუტკეპნელი იყო. დაღამდა. თუმცა მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ მგზავრები არავინ შემოხვედრიათ, მარტო წასვლა კი საშიში იყო, რადგანაც მინდვრათ მგლები დახეტიალებდენ. საჩინომ და სოსანამ ღამე სოფელში გაათენეს, ერთი გლეხის გომურში, მეორე დღეს ადრე ადგენ და შუადღისას ქალაქს მიუახლოვდენ. ამდროს სოსანა საშინელმა კივილმა შეახტუნა.

—ვუი დედილო! რა იყო, მამაჩემო? წამოიძახა მან შეშინებული ხმით.

—მარშინა არის, შვილო! უპასუხა საჩინომ.

—რა არი მარშინაი? დაეკითხა სოსანა, რომელსაც მატარებელი ჯერ არ ენახა.

—აი მალე დაინახავ და გაიგებ, რაც არის.

—ეს რკინები რათ ალაგია ასე სწორა? იკითხა სოსანამ ცოტა ხანს შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ეგ, შვილო, მარშინის გზა არი. თუ ეგ რკინები არ დაუგეს, ისე ვერ ივლის. უპასუხა საჩინომ.

—დადის განა? იკითხა გაოცებულმა სოსანამ.

—დადის მაშ! აგე, შახედე, რიგორი წიწინით მორბის! მიუთითა საჩინომ.

სოსანამ გაიხედა იქითკენ და გაკვირვებულმა პირი დააღო; სანამ გონს მოვიდოდა, მატარებელმა გუგუნ-გუგუნით წინ გაურბინა.

—დეედა! რამხელა ყოფილა! წამოიძახა სოსანამ: რა ჩქარა გარბის! სად მირბის, მამილო?

—უკან „ბაგონები“ რომ ება, იმაში სულ ხალხი ზის, შვილო! ისინი მიჰყავს.

—ჰო, ჰო, დავინახე! სარკმელებიდან მოჩანდა. ჩვენ რატომ არ წაგვიყვანა?

—ვინც ფულს მისცემს, მარტო ის მიჰყავს, შვილო! ჩვენ აბა რას წაგვიყვანდა, ფული რომ არა გვქონდა.

—ფული რომ გვქონოდა, მაშინ წაგვიყვანდა? დაეკითხა სოსანა.

—წაგვიყვანდა, შვილო! უპასუხა საჩინომ.

სოსანას აღარა უკითხავსრა; ხოლო გულში ფიქრობდა, ნეტავი ფული გვქონოდა, რომ ჩვენც წავეყვანეთო.

—შიგ რომ არაფერი უბია, აგრე ჩქარა რითი გარბის? დაეკითხა სოსანა რამდენსამე ხანს შემდეგ.

—ცეცხლი ანთია შიგ, შვილო, და იმას მიჰყავს. აუხსნა საჩინომ, თუმცა თითონაც არ იცოდა და ვერც წარმოედგინა, რანაირათ უნდა წაეყვანა ცეცხლს.

—ჰოო! დაეთანხმა სოსანა, თითქოს ყველაფერი გაიგოეო.— მერე ვინ აჩერებს? დაეკითხა კიდევ.

—ტანციებია, შვილო, აშენებული და იქ გააჩერებენ ხოლმე.

სოსანა დაჩუმდა. მას იმ წამს „მარშინის“ მეტი აღარა აგონდებოდა და მხოლოთ იმას ფიქრობდა, ფულს რომ ვიშოვი, მიეცემ და მეც წამიყვანსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე სოსანას თვალწინ ქალაქი გადიშალა.

სოსანა ისე გაიტაცა ყველაფერმა, ყოველივე მისთვის იმდენათ უცხო და ახალი იყო, რომ შედგებოდა და აქეთ-იქით ყურებას, თვალების ცეცებას დაიწყებდა ხოლმე. საჩინოს მალიმალ უნდა ეძახა, წამო, შვილო, წამოდიო, რომ არ დაჰკარგოდა. გააყოლა სოსანამ სახლებს თვალები; სულ მიდიოდენ, მიდიოდენ, მიიჭიმებოდენ და არ თავდებოდენ, ბოლო არსად ჩანდა.

—უჰ, რამსიგძე სახლები ცოდნიათ აქა! იძახოდა ის მალიმალ. ათვალიერებდა, იქნება საბძელი, გომურები, საქათმე ან საღორე დაეინახოვო, მაგრამ, რომ ვერაფერი დაინახა, გაოცებულმა იკითხა:

—მამა, საბძლები, გომურები ან საღორეები სადა აქვთ?

—რას ამბობ, ბიჭო! გადიხარხარა საჩინომ,—საბძლები და საღორეები რათ უნდათ? აქ არც ყანები აქვთ, არც საქონელი ყავთ. მარტო სახლები აქვთ და საჭმელს, პურს, ხორცს,—სულ ფულით ყიდულობენ.

—ეს რაღა არის, ცხენებიანი რომ მირიხინობს? დაიძახა ამდროს სოსანამ.

—ფაიტონია, შვილო.

—რათ უნდათ?

—ვინც ფულს მისცემს, საცა უნდა, იქ წაიყვანენ. უპასუხა საჩინომ.

—უჰ, რაცა პურები გამოუცხვია! როდის უნდა შეჭამოს? გაიოცა სოსანამ, მეპურეს წინ რომ გაიარა.

—თავისთვის კი არ გამოუცხვია მარტო, ჰყიდის, შვილო! ამდენი ხალხი ხომ თითონ არ აცხობს პურს. მიელიან მაგასთან, მისცემენ ფულს და პურს გამოართმეენ.

სულ ფული და ფულიო, ფიქრობდა სოსანა.

—უფულოთ არაფერს არ მისცემენ ქალაქში? დაეკითხა მამას.

—რათ მისცემენ! გიჟები კი არ არიან! უპასუხა საჩინომ.

აბა ჯერ ფული უნდა ეიშოვნო და მაშინ ყოველისფერს ეყიდიო, იფიქრა სოსანამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩინომ გასწია იქითკენ სადაც ჩვეულებრივათ უალაგო მოსა. მსახურეები არიან ხოლმე თავმოყრილი და მიემატა სხვებს იმ იმედით, მოვა ვინმე და ჩემ სოსანას დაიჭერსო. იმ დღეს არავინ უნახავს. მეორე დღეს, დილაზე, როცა საჩინო და სოსანა კედელთან იყვენ ატუზული და საჩინო ღმერთს ევედრებოდა, ღმერთო დღეს მაშოვნიე როგორმე ადგილი ჩემი სოსანასათვის, რომ ჩემ ცოლშვილს მალე მივე'ველოვო, ერთმა შუახნის სქელმა კაცმა გამოიარა, შედგა, შეაჩერდა სოსანას, შემდეგ საჩინოს შეხედა და ჰკითხა:

—ე ბიჭს აყენებ?

—დიახ, თქვენი ჭირიმე! —უპასუხა საჩინომ საბრალო ხმით.

—მაშ, მოდი რაღა, მე დამიყენე. ჩავაცმევ, დავახურავ; გაიზრდება, კაცი გახდება. თუ გინდა, წამომყევი, ჩემი სახლი ნახე. გენებოს დააყენე, არა და ნება შენია. —ამ სიტყვებზე მან გასწია. საჩინომ გადისახა პირჯვარი, ღმერთო მიშველეო, მოჰკიდა სოსანას ხელი და გამოუდგა უკან. სქელმა კაცმა ერთ ვიწრო ქუჩაში შეუხვია, შევიდა ეზოში, ავიდა კიბეზე და დაიძახა:

—ოსანა, გარეთ გამოიხედე; ბიჭი მოვიყვანე!

მალე გამოვიდა თავდახურული, ჩასუქებული დედაკაცი რომელიც სქელი კაცის ცოლი უნდა ყოფილიყო.

—სტეფანე, დაბრუნდი? ქა, სად იპოვე თითის სიგძე ბავში? გაიოცა მან სოსანას დანახვაზე.

—ჰა, აყენებ თუ არა? დაეკითხა საჩინოს სტეფანე: —მე და ჩემი ცოლი ვართ, ორი შვილი სკოლაში დადიან. ჯაფა არაფერი ექნება შვილიეთ შავინახავთ; როგორც შენ სახლში ისე გეგულებოდეს ჩვენთან.

—როგორ არ დავაყენებ, ბატონო, აბა რისთვის ჩამოვიყვანე ამ სიშორეს, მაგრამ იქნება ცოტა რამე მიბოძოთ. დაეღრიჯა საჩინო.

—შვილო, თითის სიგძე ბალღია; რაც მაგას საჭმელი მოუნდება, იმის ფასს რას გაგვიკეთებს? ტანისამოსი დაჭირდება, აგრე ხომ ვერ ივლის! ქუდი, წულები... ხომ იცი, ყველაფერს ფული უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩინო ყოყმანობდა: ტყუილა დაყენება არ უნდოდა; მოცდაც დიდხანს ალარ შეეძლო, რამდენისამე ხნის ვაჭრობის შემდეგ მორიგდენ: სტეფანეს ექვსი მანეთი უნდა მიეცა ამ თავითვე, სოსანა მასთან უნდა დარჩენილიყო ერთ წელიწადს. —თუ ივარგა, ჯამაგირს მოვუმატებ და ალარ გავუშვებ, თუ არა და რა გაეწყობაო, — დაუმატა სტეფანემ. საჩინომ სადილი იქ ჭამა, ექვსი მანეთი ჯიბეში ჩაიდვა, გამოეთხოვა შვილს და ის იყო, მიდიოდა, რომ სოსანამ ტირილი მორთო და მამას ჩოხის კალთაში დაებღაუჭა. სანამ მამასთან იყო, კიდევ არას ნაღვლობდა, მაგრამ მამაც რომ შორდებოდა და სრულიად მარტო რჩებოდა უდედმამოთ, გულმა ველარ მოუთმინა და ტირილი მორთო. საჩინოსაც გული აუჩვილდა, მაგრამ ცრემლებს იკავებდა და შვილს ანუგეშებდა: ამ ერთ თვეს შემდეგ ისევ ჩამოვალ და წაგიყვანო. როგორც იქნა, დაამშვიდა ბავში და წამოვიდა. მეორე დღეს კიდეც მოატანა ვახშმობამ, სახლშიც მოვიდა.

II

სოსანას ალა, სტეფანე, კარგათ ეპყრობოდა, არ უწყრებოდა, ყველაფერს ასწავლიდა. არც ბევრი ჯაფა ჰქონდა სოსანას. მხოლოთ დილაზე ადრე უნდა ამდგარიყო და ფეხსაცმელები დაეწმინდა, რაც ერთობ ეძნელებოდა; მაგრამ მალე მიეჩვია. პირველ ხანებში ძალიან მოიწყინა; საქმეს რომ მორჩებოდა, მიჯდებოდა კუთხეში და დაიწყებდა ფიქრს; წარმოუდგებოდა თავისი ღარიბი ქოხი, საჩინო, თამარი, დები, ძმები, ამოუჯდებოდა გული და დაიწყებდა ტირილს, მაგრამ ახალ ცხოვრებას ნელა ნელა მიეჩვია და ტირილსაც თავი დაანება. სტეფანეს ორი შვილი ჰყავდა სასწავლებელში. ერთი ცამეტი წლისა, მეორე თერთმეტისა. თავისუფალ დროს ისინი სოსანას ეთამაშებოდენ. სოსანა ამან ძალიან გაართო და ჯავრი გადაავიწყა. გადიოდა დღეები, კვირეები,—სოსანა გარეთ ცხოვრებას შეეჩვია. სტეფანეს შვილები საღამოზე დასხდებოდენ ხოლმე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილებს სწავლობდენ. ისინი რომ ხმა მაღლა კითხვას დაიწყებდენ, სოსანა განცვიფრებული მიაჩერდებოდა ხოლმე. როცა ისინი სასწავლებელში წავიდოდენ, მივიდოდა, გადაშლიდა დატოვებულ წიგნებს და ჩაიხედავდა შიგ, მაგრამ წიგნები არაფერს ეუბნებოდენ.

ერთი თვის განმავლობაში სოსანამ გაიცნო მეზობლის მზარეული, ზაქარა, და ძალიან დაუმეგობრდა, თავისუფალ დროს სულ იმასთან იყო და თავის სოფლის ამბავს უამბობდა. ზაქარაც ხან არიგებდა და ხან სხვა და სხვა ამბებს ან ზღაპრებს უამბობდა. ერთ საღამოს, როცა სოსანა საქმეს მორჩა, ზაქარასთან მიირბინა და მცირე მუსაიფს შემდეგ დაეკითხა:

—წიგნებში რაც წერია, იმის გაგება იცი?

—ეიცი! უპასუხა ზაქარამ.

—რათი გაიგე? ჰკითხა სოსანამ.

—ანბანა ვისწავლე, მერე კითხვა და ასე გავიგე!

—მე ვერ ვისწავლი?

—თუ მოინდომებ, რატომ ვერ ისწავლი! იყიდე წიგნი საცა ანბანა სწერია და ისწავლი.

—რითი ვიყიდო, ფული არა მაქვს! უპასუხა გულდაწყვეტილმა სოსანამ.—მაგრამ ალა დამპირდა, თუ ჭკვიანათ იქნები, აღდგომას ფულს გაჩუქებო, აბა მაშინ ვიყიდი! სიხარულით წამოიძახა სოსანამ.

დღეები შეუმჩნეველათ მიიპარებოდენ, სოსანა მოუთმენლათ ელოდა აღდგომას, რომ წიგნი ეყიდა. აღდგომაც მალე მოვიდა. სტეფანემ დაპირება აასრულა და სოსანას ფული აჩუქა. რა ბედნიერი იყო ახლა სოსანა! მალი მალ ამოიღებდა ხოლმე ჯიბიდან ფულს და დააჩერდებოდა; ისეთი თეთრი იყო, რომ სულ ბზიალი გაჰქონდა.

რამდენსამე დღეს შემდეგ, მორჩა თუ არა საქმეს სოსანა, ზაქაროს მიაშურა და ახარა:

—ახლა ფული მაქვს. მასწავლე ის წიგნი, რომელიც კითხვას დამასწავლის და ვიყიდი!

—დედა-ენა.—უპასუხა მზარეულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დედა-ენა. გაიმეორა სოსანამ და გამოვარდა ვარეთ.

—არ დაგავიწყდეს, დაუძახა ზაქარამ.—თუ გინდა ქალალდზე დაგიწერ და ის მიუტანე მალაზიაში.

– არა, არა, არ დამავიწყდება! ყვიროდა სოსანა და მირბოდა. გაიარა ერთი ქუჩა; სულ აქეთ-იქით იცქირებოდა, მაგრამ წიგნების მალაზია ვერ დაინახა. გულში განუწყეტლათ „დედა-ენა"-ს იმეორებდა, არ დამავიწყდესო. შეუხვია მეორე ქუჩაში და ფანჯარაში წიგნები დაინახა. იფიქრა, სწორეთ ეს იქნება წიგნების მალაზიაო, შეეცდა შიგ და თამამათ წამოიძახა:

—დედა-ენა მომყიდეთ!

ვაჭარი გაბრუნდა, გამოიღო ერთი წიგნი და მოიტანა.

სოსანამ აიღო წიგნი, ახედ-დახედა, შემდეგ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო თავისი ფული, დააგდო მაგიდაზე და გამობრუნდა, მაგრამ ვაჭარმა გააჩერა.

—ეს რა არის? აბაზი კიდეე უნდა: ეს სამშაურიანია.

—ეგ ხომ ფულია? გაოცებული ხმით უთხრა სოსანამ.

—ფული რომაა, ცოტა არის! უპასუხა მეწიგნემ.

სოსანა გაკვირვებული იდგა და არ იცოდა, რა ექნა.

—ჰა, გაქვს თუ არა კიდეე აბაზი? დაეკითხა მეწიგნე.

—მაგის მეტი აღარა მაქვს! უპასუხა სოსანამ.

—მაშ წიგნი მომეცი. აჰა, შენი სამშაურიანი. აბაზი კიდეე მოიტანე და წიგნს მაშინ მოგცემ. უთხრა მეწიგნემ და დაუბრუნა სამშაურიანი.

სოსანამ გამოართვა თავისი ფული და დაღონებულმა გამოსწია სახლისაკენ. თვალებზე ცრემლები მოსდიოდა. —ფულს სადღა ვიშოვნი! ბუტბუტებდა გზაზე.—ეჰ, დავრჩი უწიგნოთ. კითხვას ვეღარ ვისწავლი!

—რა ქენი, იყიდე დედა-ენა? დაეკითხა ერთ დღეს ზაქარა სოსანას.

—არა, უპასუხა სოსანამ.

—რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მე ეს ფული მივეცი და იმან ასე მითხრა, ცოტა არის, კიდევ მივიტანეო, და ვინ მომცა, რომ მოვიტანო! ამ სიტყვებზე სოსანამ ამოიღო სამშაურიანი და ზაქარას აჩვენა. ბავშს ისეთი მოწყენილი და დაღონებული სახე ჰქონდა, რომ ზაქარას ძალიან შეეცოდა. იფიქრა, მე ვუყიდი, ბევრი არ ღირს, კითხვას ისწავლის და მადლიაო.

მეორე დღეს ნასადილევს, როცა სოსანა სკამზე ჩამომჯდარიყო და ფიქრობდა, დედა-ენა რომ მქონოდა, ახლა კითხვა მეცოდინებოდაო, მზარეულმა დაუძახა, აქ მოდი, რა გაჩვენოვო. სოსანა წამოდგა და წავიდა მასთან.

—აი დედა-ენა! უთხრა ზაქარამ, როცა სოსანა სამზარეულოში შეეიდა.—წაიღე და იკითხე.

—უჰ, წამოიძახა გახარებულმა სოსანამ:—ვინ მოგცა?

—ვიყიდე!

სოსანას ალარა უთქვამსრა, მხოლოთ ზაქარას შეხედა; მის თვალებში ამ წამს აღუწერელი მადლობა იხატებოდა.

—ანაბანა სულ არ იცი? დაეკითხა მზარეული.

—არაფერი არ ვიცი. უპასუხა სოსანამ: მაგრამ ალას შვილებს შეეხვეწები და ისინი მასწავლიან.

—ისინი რუსულ'ა სწავლობენ, ქართული არ ეცოდინებათ. შენ კი ქართული უნდა ისწავლო.

—განა რუსული და ქართული ანაბანა ერთი არ არის? იკითხა სოსანამ.

—არა! რუსული ლაპარაკი ხომ გაგიგონია; ქართულისთანა არის?

—როგორ არ გამიგონია! ჩვენებურს არა გავს. ცოტა ვისწავლე: შტო პრიკაჟიტ? ჩვენებურათ რას გვიბრძანებ ყოფილა; ჩვენ იზბოლით,—რა გინდაო.

—ჰო, ჰო, აი ხომა ხედავ, რუსული ლაპარაკი სხვანაირია, ვიდრე ჩვენებური.—გააწყვეტინა სიტყვა ზაქარამ. – რუსული ანაბანაც სხვანაირია, შენ ჯერ ჩვენებური უნდა ისწავლო. საღამოობით, როცა თავისუფალი იყო ხოლმე, ჩემთან მოდი და მე გასწავლი. როცა ანაბანაში გაიმართები, მერე შენით ისწავლი. ვანო.

(შემდეგი იქნება)

ახალი ქვეყანა.

როგორ მოიარა ქრისტეფორე კოლუმბმა ქვეყნის მეორე მხარე

V.

ხომალდებმა ნახევარ გზა მეტი გაიარეს, რომ ერთბაშათ ზღვა საშინლათ აღელდა; ტალღები ხომალდებს ბურთებსავით მაღლა ისვრიდენ და აქანავებდენ; მალე ხომალდები ერთმანეთს დაცილდენ. თავის თავის იმედი ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა. კოლუმბი მათ აფერთხილებდა, მაგრამ გულში თითონაც დაჰკარგა გადარჩენის იმედი. სიკვდილის მას არ ეშინოდა, მაგრამ გულს ის უთუთქავდა, რომ მასთან ერთათ ზღვაში მისი აღმოჩენაც შთაინთქებოდა, და ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. კოლუმბმა დასწერა დიდი წერილი თავის მოგზაურობის შესახებ, ჩადვა ხის კასრში, გაგლისა კუპრით რომ შიგ წყალი არ შესულიყო და ჩუმათ წყალში გადააგდო იმ იმედით, რომ იქნება ჩვენ დაღუპვას შემდეგ იპოვოს ვინმემ და ეოველისფერი გაიგოსო. ზღვა ორი დღე და ღამე ღელავდა; ბოლოს დამშვიდდა და მალე ხმე-

ლეთიც გამოჩნდა. ეს ერთი აზორის კუნძულთაგანი იყო, აფრიკის დასავლეთით; იქ პორტუღალელები ცხოვრებდენ; კოლუმბმა იქ შეისვენა მცირე ხანს და შემდეგ ისევ გზას გაუდგა. პინსონების ხომალდი კი აღარსად ჩანდა. მალე კოლუმბი პორტუღალიის სამეფოს, ლისაბონს, მიუახლოვდა და გადასწყვიტა იქ შეეხვია და მოეცადა, რადგანაც ზღვა ჯერ კიდევ გვარიანათ ღელავდა. კოლუმბმა გააჩერა ხომალდი მდინარე ტაგოს პირში და აქედან ესპანეთში წერილი გაგზავნა თავის აღმოჩენის შესახებ.

გაიგო თუ არა პორტუღალიის მეფემ კოლუმბის ლისაბონში მოსვლა, მეისვე თავის სასახლეში მიიპატიჟა და დიდი პატივი სცა. კოლუმბმა უამბო მას თავის შესანიშნავი მოგზაურობის შესახებ. მეფეს ძალიან დაწყდა გული, რომ მან წინეთ არ მისცა კოლუმბს ხომალდები და მოატყუა, მაგრამ წარსულ საქმეს რაღას გამოაბრუნებდა.

რამდენსამე დღეს შემდეგ ღელვა გათავდა, ზღვა დამშვიდდა. კოლუმბი გაემგზავრა ლისაბონიდან ესპანეთში და თხუთმეტ მარტს პალოსში იყო.

VI.

აღუწერელია, რანაირათ გაისარეს პალოსის მცხოვრებლებმა, როდესაც მათ კოლუმბი, თავის ნათესავები და მეგობრები დაინახეს. შვიდი თვე მათი აღარა იცოდენრა და ყველას იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეს ჰალოსის სადგურში მოვიდა თავის ხომალდით ჰინსონი, რომელიც კოლუმბს ღელვის დროს დასცილდა. მან მეფეს წერილი გაუგზავნა და თხოვა, ნება მიბოძეთ, გიახლოთ და ჩემი მოგზაურობის შესახებ შეგატყობიოთ ოვველივეო; მეფეს უკვე მიღებული ჰქონდა კოლუმბის წერილი და ამიტომ ჰინსონს უბრძანეს შენ უფროსს მოუცადეო, შენგან ვერაფერს ვერ მოვისმენთო. ამ ამბავმა ჰინსონი ისე შეაწუხა, რომ ავათ გახდა და გარდაიცვალა. მეფე-დედოფალმა კოლუმბი თავის სასახლეში მიიპატიჟეს, ქალაქ ბარცელონაში. კოლუმბი ქალაქში ცხენით შევიდა; მას წინ მიუძღოდენ ექვსი საცოდავი ინდოელები, რომლებიც მან ტყვეთ წამოიყვანა; უკან მოჰქონდათ სხვა-და-სხვა ცხოველების ტყავები, ხეების და მცენარეების ნიმუშები, თუთიყუშები და სხვა საუცხოო ფრინველები, — ერთი სიტყვით ოვველისფერი, რაც კი კოლუმბმა მოიტანა. მეფე-დედოფალი ოქროს ტახტზე ისხდენ, მათ გარშემო მრავალი კარის კაცები იყვენ თავმოყრილი. მეფე-დედოფალმა კოლუმბი თავის გვერდით დაისვეს და მოაყოლეს ოვველისფერი, რაც ნახა და აღმოაჩინა.

დიდხანს ილაპარაკა კოლუმბმა; ყველა სულგანაბული უსმენდა; ბოლოს კოლუმბმა გაათავა; მეფე-დედოფალმა ღმერთს მადლობა გადაუხადეს და კოლუმბი სასახლეში დაიტოვეს.

ამას შემდეგ კოლუმბს ყველა დიდ პატივსა სცემდა; მეფე-დედოფალი ოვველ მის სურვილს ასრულებდენ; ხალხი მას ოვველგან უკან დასდევდა. მაშინ წიგნების ბეჭდ-



ვაც იცოდენ; მალე დაბეჭდეს კოლუმბის მოგზაურობის ამბავი და მთელმა ევროპამ გაიგო. ყველა ამას გაიძახოდა: „კოლუმბი ღმერთი ეოფილა და არა კაცი“.

VII.

ათას ოთხას ოთხმოცდა ცამეტ წელს ოცდა ხუთ ენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენისთვეს კოლუმბი მეორეთ გაემგზავრა თავის აღმოჩენილ კუნძულებისაკენ; თან ჩვიდმეტი ხომალდი ახლდა; ორიათას კაცს უნდოდა ახალ ქვეყნებში გადასახლება; კოლუმბმა მხოლოთ ათას ორასი კაცი წაიყვანა, მაგრამ სამასამდე ჩუმათ ჩაჯდა ხომალდებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლუმბმა ეოველგვარი ოთხფეხი ჰირუტეკი წაიყვანა მოსაშენებლათ და აგრეთვე სხვა-და-სხვა თესლეულობა და მიწის მოსახნავი მანქანებიც წაიღო.

დიდიხნის მოგზაურობის შემდეგ ხომალდები მიადგენ გაიტის კუნძულს, სადაც ჰირველ მოგზაურობას შემდეგ ორმოცი ესპანელი დასახლდა; მაგრამ იმ ესპანელებიდან კოლუმბს აღარც ერთი აღარ დაუხვდა; ინდოელებისაგან კოლუმბმა გაიგო, რომ იქ დასახლებული ესპანელები მცხოვრებლებს ძალიან ტანჯავდენ, აწვალებდენ; ისინიც მოთმინებიდან გამოსულიეკენ და სულეველა ამოეჟლიტათ.

ესპანელებმა ამოირჩიეს ალაგი, აიწყეს ქალაქის შენება და ეანების მუშაობა. გზაზე ეველას ასე ეგონა, ხელის განძრევა აღარ დაგვჭირდება, მზამზარეული დაგვიხვდება ეოველიეკო, და როცა ეველას მუშაობა დასჭირდა, მაშინ კი უკმაეოფილება გამოუცხადეს, კოლუმბს ლანძღვა დაუწყეს და მის ბრძანებას აღარ ასრულებდენ; ამიტომ კოლუმბი მათ სასტიკათ სჯიდა ხოლმე და ამით უფრო გადიმტერა ისინი. გარდა ამისა ესპანელები ინდოელებს ძალიან ავიწროვებდენ და ამის გამო მათ შორის ნამეტი-ლი ომი გაიმართა; ესპანელები კარგათ იეკენ შეიარაღებული და ამიტომ ინდოელებს ეოველგან ამარცხებდენ და შეუბრალებლათ ხოცავდენ; მეტი გზა არ იეო, ინდოელები დამორჩილდენ; მაშინ კოლუმბმა მათ ხარკი დაადვა; თითოეულ მათგანს ეოველწლივ გადაწეკეტილი წონა

ოქრო უნდა მოეტანა ხოლმე საზინის სასარგებლოთ; გარდა ამისა რაც მძიმე სამუშაო იყო, სულ მათ აკეთებინებდენ; აუტანელი ჯაფის გამო ინდოელები საშინლათ იხოცებოდენ; ბევრს კოლუმბი ყოველ წლივ ევროპაში გზავნიდა ხოლმე გასაყიდათ. ამის გამო კუნძულებზე, რამოდენსამე წელს შემდეგ აღარც ერთი ინდოელი აღარ დარჩა: ზოგი გაწყდა, ზოგი ევროპაში გაიყიდა ტყვეთ.

VIII.

კოლუმბმა გაიტის კუნძულზე ააშენა ქალაქი სანტოდომინგო. უმეტეს დროს თითონ მოგზაურობაში ატარებდა. იმას ასე ეგონა, ჩემ მიერ აღმოჩენილი კუნძულები ინდოეთს ეკუთვნიანო, და ამიტომ ინდოეთის მდიდარ სამეფოებს დაეძებდა. ესპანეთსა და გაიტის შუა ხომალდებმა ხშირათ იწყეს სიარული; გაიტის ესპანელები მეფეს მუდამ საჩივარს უგზავნიდენ კოლუმბზე, ჩვენც და ინდოელებსაც სასტიკათ გვეპყრობა, ტყავს გვაძრობს და აქ გამეფებას აპირებსო; ზოგიერთი საჩივარი მართალი იყო; მაგალითათ კოლუმბმა მეფის ნებადაურთველათ რამდენჯერმე დაიჭირა კუნძულზე ინდოელები და ესპანეთში გასაყიდათ გაგზავნა; კუნძულებიდან საზინას ცოტა მემოსავალი ჰქონდა; კოლუმბის შესახებ კი ხმა დადიოდა, ოქროთი ყელამდე აივსოვო; მეფეს კოლუმბზე გული გაუტეხა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი კი კოლუმბის მფარველი იყო, მაგრამ, როდესაც გაიგო, კოლუმბი მონებათ ჭეიდის ინდოელებსაო, მასაც გული დაწყდა კოლუმბზე, რადგანაც მეტის მეტი ღვთისნიერი ადამიანი იყო და მონების ყიდვა სისამაგლეთ მიაჩნდა. ბოლოს მეფემ გადაწყვიტა, კოლუმბი უკან გამოეწვია; ამისათვის მან გაგზავნა კარის კაცი ბობადილლა, რომ მას კოლუმბის ალაგი დაეჭირა; კოლუმბი კი უკან უნდა დაბრუნებულიყო.

მივიდა თუ არა ბობადილლა სანტო-დომინგოში, უკმაყოფილო ესპანელებმა ეურები გამოუჭედეს, კოლუმბი უსამართლოთა და სასტიკათ გვეპყრობაო. თავის მოქმედების შესახებ კი აღარაფერს ამბობდენ.

კოლუმბი ამდროს სხვაგან იყო; უიმისოთ კი მისი ძმა და მისგან მოსელეებათ დაუენებული ჰირები ბობადილლას განკარგულებას არ ასრულებდენ; ბობადილლა საშინლათ გაბრაზდა; მან გაგზავნა რამდენიმე კაცი, რომ კოლუმბი დაეჭირათ, ფეხებში ბორკილი გაეყარათ, და ციხეში დაემწყვდიათ. კოლუმბს მისმავე მზარეულმა გაუყარა ბორკილები. ამას შემდეგ ბობადილლამ უბრძანა, კოლუმბი ესპანეთში წაეყვანათ; მას ესპანელი ვილლეხო უნდა გაჰყოლოდა; კოლუმბი მას კარგათ იცნობდა. როცა ვილლეხო საპყრობილეში შევიდა, კოლუმბს თავის თავის იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა.

— რას მიპირებ, ვილლეხო? დაეკითხა კოლუმბი მას.

—ხომალდზე უნდა დაგსვათ, თქვენო აღმატებულებავ.

— მართლა, ვილლესო?

— მართლა,— უპასუხა ესპანელმა.

გაუდგენ თუ არა გზას, ვილლესომ უთხრა კოლუმბს, ბორკილს შემოგხსნითო, მაგრამ კოლუმბი არ დათანხმდა:

—არა, ჩემმა ხელმწიფემ ბრძანა და მეც უნდა დავემორჩი-

ლო. მხოლოთ მას შეუძლია ამ ბორკილის შეხსნა.მე ამას შთამომავლობას შევუნახავ ჩემი წვალების მოსაგონებლათ.

როცა შებორკილი კოლუმბი ესპანეიში მოიყვანეს, უველამ მეფის უსამართლობაზე დაიწყო ლაპარაკი. თითონ მეფეც ძალიან შეწუხდა, რადგანაც მას სრულიადაც არ დაუბარებია ბობადილასათვის, რომ კოლუმბს ასე სასტიკათ მოქცეოდა. რასაკვირველია კოლუმბი დამნაშავე იუო, მარა მან ესპანეთსა და მთელ ქვეყანას იმდენი ღვაწლი მოუტანა, რომ მისი დავიწყება შეუძლებელი იუო.

მეფეს ეს კარგათ ესმოდა და ამიტომ რცხვენოდა; მან მაშინვე ბრძანა კოლუმბისათვის ბორკილი შეეხსნათ და კოლუმბი დაიბარა. როდესაც კოლუმბი მეფე-დედოფლის წინაშე წარდგა, პირველ ხანს მწუხარებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო, დედოფალს ცრემლები მოერია.

მეფემ კოლუმს წინანდელი უფლებები აღარ დაუბრუნა; იმის მაგივრათ სხვა და სხვა თანამდებობას აძლევდა თვით ესპანეთში; კოლუმბი კი თავისაზე იდგა: ის ითხოვდა უოველივე იმას, რაც პირობის ძალით ერგებოდა. ბოლოს კოლუმბის სურვილისამებრ ისევ გაგზავნა ის მეფემ ახალი ქვეყნების აღმოსაჩენათ.

ამ მოგზაურობის დროს კოლუმბი და მისი მგზავრები კინაღამ შიმშილით დაიხოცენ. რაღაც უცნობ კუნძულს მიადგენ; ჭავა იმისთანა იუო, რომ სუუველა ავათ დახდა; ხომალდები ჭიებმა დაღრღნეს, საჭმელი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელიათ, ინდოელები ახლოს არ ეკარებოდენ, რადგანაც მათი ეშინოდათ, ბოლოს სანტო-დომინგოდან გამოუგზავნეს ხომალდები და კოლუმბი ესპანეთში დაბრუნდა, იქ ავათმყოფმა კოლუმბმა ერთი წელიწადი კიდევ იცოცხლა და ოც მაისს ათას ხუთას ექვს წელს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდაში გადაიცვალა. კოლუმბს მისმა აღმოჩენამ იმდენი სარგებლობა ვერ მოუტანა, რამდენი მწუხარებაც მიაყენა. მას ეგონა ინდოეთის გზა ვიპოვეო, და ის კი არ იცოდა, თუ რა დიდი ღვაწლი მოუტანა კაცობრიობას; მან შემოუარა დედამიწის მეორე ნახევარს და იქ ისეთი ქვეყნები აღმოაჩინა, რომლის შესახებაც მანამდის არაფერი არ იცოდენ. კოლუმბამდის იცოდენ მხოლოთ დედამიწის ის ნახევარი, რომელზედაც ჩვენა ვცხოვრებთ; კოლუმბმა მეორე ნახევარიც ნახა და ყველას დაუმტკიცა, რომ იქ ყოველივე ისეა მოწყობილი, როგორც აქეთ; არის ქვეყნები, მიმდინარეობენ მდინარეები, იზრდებიან ხეები და ცხოვრებს ისეთივე ხალხი, როგორც ჩვენ.

ეს ჭეშმარიტება მეორე იტალიელმა მოგზაურმა ამერიგო-ვესპუჩიმ შეიგნო. ის კარგათ იცნობდა კოლუმბს და მისი მეგობარიც იყო უკანასკნელ დროს. ამერიგომ დაიარა ყველა ის ქვეყნები, რომლებიც კოლუმბმა აღმოაჩინა და დარწმუნდა, რომ ის ინდოეთი კი არ იყო, არამედ დედამიწის მეორე ნახევარი იყო. გარშემო ზღვა ერტყა და ცალკე ქვეყანას შეადგენდა. ამერიგომ თავის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაურობის შესახებ დაწერა შვენიერი წიგნი „ახალი ქვეყანა“. ამ წიგნის შემწეობით ეველამ გაიგო, თუ რა ქვეყანა აღმოაჩინა კოლუმბმა. თუმცა ეს ქვეყანა კოლუმბმა აღმოაჩინა, მარა მას ის ინდოეთი ეგონა; ამერიგომ კი დაამტკიცა, რომ ეს ინდოეთი კი არა, სრულიად სხვა ქვეყანა იყო; ამიტომ ამ ქვეყანას ამერიგოს პატივის საცემლათ ამერიკა უწოდეს.

მალე იქ გადასახლდა მრავალი ევროპიელი; მათ დაარსეს შვენიერი სახელმწიფო და ახლა ის თავის სიმდიდრით და განათლებით არც ერთ ევროპის სახელმწიფოს არ დაუვარდება.

ვანო.



ფიზიოლოგიური წერილები.



I.

საზრდო და მისი წყარო.

ემო პატარა მკითხველო, მე მსურს შეძლებისა დაგვარათ პატარა-პატარა ცნობები გაგიზიარო ფიზიოლოგიიდან და, თუ შენ ყური დამიგდე და მალე არ მომიწყინე, მეც გავხალისდები, ვეცდები, ყოველივეს გარკვეით მოგიყვე და გაუგებარი ლაპარაკით თავი არ შეგაწყინო.

რა თქმა უნდა, ჯერ არ გეცოდინება, რა არის ფიზიოლოგია! მაშ მე აგიხსნი: ფიზიოლოგია სხვა და სხვა არსებათა სასიცოცხლო მოვლენების მეცნიერებაა. ფიზიოლოგია სწავლობს ამ სასიცოცხლო მოვლენებს, იკვლევს და ხსნის მათ კანონებსა და მიზეზებს. სასიცოცხლო მოვლენებს როგორც ცხოველებში, აგრეთვე მცენარებშიაც ეხედავთ, ამიტომ მცენარეების ფიზიოლოგიაც არის და ცხოველებისაც, მაგრამ ჩვენ ჯერ მარტო ცხოველების ფიზიოლოგიაზე ვიმუსაიფოთ.

აი თქვენ დარბიხართ, ცელქობთ, თამაშობთ, ლაპარაკობთ იმღერით... ერთი სიტყვით, მოქმედებთ; თქვენი მოქმედებისათვის კი საჭიროა ერთგვარი ძალა, რომელიც ყოველ გვარ საქმელში მოიპოვება, როგორც ხორცეულში აგრეთვე მცენარეულშიც. თუ მშიერი დარჩით, მაშინ დასუსტდებით, ღონე გამოგელევათ, მოქმედების ხალისი დაგეკარგებათ, რადგანაც ამისათვის საჭირო ძალა აღარ გექნებათ; ამ ძალის საშოვნელათ საქმელი უნდა შეჭამოთ. ამიტომაც არის, რომ სოფლელები დიდ მუშაობის დროს სამ იჯრას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამენ ხოლმე: სადილს, სამხარს და ეახშამს; სოფლის მუშამ რო აბ-
დენი არა ჭამოს, იმდენსაც ვერ იმუშავებს. როცა ადამიანი საჭმელს
არა ჭამს, მაშინ ის წონაში კლებულობს. რატომ? იმიტომ რომ მის
ხორცში არის ის ძალა, რომელიც მოქმედებისათვის საჭირო არის.
როცა ადამიანი მშიერი რჩება, ეს ძალა მას აღარსაიდან მოუდის; მო-
ქმედებისათვის კი ძალა ეჭირვება, ამიტომ მისი ნაწილების საკუთა-
რი ძალა იხარჯება, მას ხორცი აკლდება და ისიც მჩატდება. როცა
ჩვენ ესუნთქავთ, პირში და იქიდან ფილტვებში ჰაერი ჩადის, ამო-
სუნთქვის დროს ისევ ამოდის, მაგრამ სულ კი არა: ფილტვებში
რჩება ჰაერის ერთგვარი ნაწილი, რომელსაც მჟავბადს ეძახიან. რა
საჭიროა ჩვენთვის ეს მჟავბადი? აი რა: ქვეყნიერობაზე ყოველი-
ფერი მჟავბადის შემწეობით იწვის. თუ დასაწვავ ნივთიერებას მჟავ-
ბადი არ შეუერთდა, მაშინ ის აღარ დაიწვის. აბა თუ არ გჯერათ
გაშინჯეთ ყოველგვარი ლამპა; მას ყელზე ნახვრეტები აქვს დატო-
ვებული, საიდანაც ჰაერი შედის, მისი მჟავბადი ფილთას უერთდება
და სწვავს; თუ ამ ნახვრეტებს ქაღალდს ისე შემოახვევთ რომ ჰაერი
თავისი მჟავბადით შიგ აღარ შეეიდეს, მაშინ ლამპაც გაქრება და
დაგარწმუნებსთ, რომ ფილთა მხოლოთ მჟავბადის წყალობით იწვო-
და. ან კიდევ აიღეთ სანთლის პატარა ნაჭერი, მოუკიდეთ და ხელ ის
გულზე დადეთ, ზევიდან მოზრდილი ჭიქა გადაამხვევთ; პატარა ხანს
შემდეგ სანთელი აპარპალდება, აბოლდება და ჩაქრება. რათ
ჩაქრა სანთელი? იმიტომ რომ ჭიქაში მომწყვდეული ჰაერის
მჟავბადი გამოილია. ახალი ჰაერი კი აღარსიდან შემოდიოდა, რად-
განაც თქვენ ცალი ხელით ზემოდან ჭიქას აწვექით.

ფილტვებში ჩასული ჰაერი მჟავბადს ტოვებს და თვითონ უკა-
ნვე ამოდის. ეს მჟავბადი უერთდება მიღებული საჭმელის ნაწილებს,
მათ ნელა-ნელა წვამს და ამ გვარათ აჩენს ჩვენ ტანში სითბოს და
სხვა და სხვა მოქმედების ასასრულებელ ძალებს. თქვენი ტანის
სითბო 37° არის; ეს სითბო თავის-თავათ არ გაჩნდებოდა, რომ
თქვენ ტანში საჭმელს ნელა-ნელა მჟავბადი არა წვამდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ რომ ყოველ დღე ჩიჩიას მიირთმეეთ და სოფლის გლეხი კი ლობიოსა და მწარე პრასას, თქვენა გგონიათ, რომ თქვენი საჭმელი სულ სხვა არის, მისი კი სრულებით სხვა, მაგრამ ძალიან ცდებით: ყველა ცხოველის ერთათ ერთი საზრდო მცენარეულობა არის. თქვენა ჭამთ ძროხის ხორცს. მე კი მცენარეულს; მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, საიდან გაჩნდა ძროხის ხორცი?

—როგორ თუ საიდანაო?! გაკვირვებით მეტყვით თქვენ: ხბო იყო და გაიზარდაო.—მერე რითი გაიზარდა? კიდევ გკითხავთ, თუ არ გამიწყრებით.—რითი და ბალახს ჭამდაო, მიპასუხებთ. მეც მაგას მოგახსენებთ: იმ ძროხის დედა, რომლის ხორცსაც თქვენ მიირთმევთ, ბალახს ჭამდა და ამ ბალახის წყალობით მის მუცელში სრულდებოდა ხბო ე. ი. ის ბალახი ხორცათ იქცეოდა და ჩასახულ ხბოს ნაწილებს ემატებოდა. როცა ხბო დაიბადა, მან თითონ დაიწყო ბალახის ჭამა და თან და თან იზრდებოდა ე. ი. ხორცი და ძვალი ემატებოდა. რათ იზრდებოდა? იმიტომ რომ შეჭმული ბალახი მისი საკუთარი ტანის ნაწილებათ იქცეოდა ხოლმე და მას ემატებოდა; ამ გვარათ მისი ხორცი ბალახიდან ყარმოდგა; მართალია, პირველათ ის რძითაც იკვებებოდა, მაგრამ რძეც ხომ იმ ბალახიდან გაჩნდა, რომელიც ძროხამ შეჭამა. აბა ძროხას ბალახს ნუ აჭმევთ, თუ მან რძე გამოიწველოს! ხბო ამ გვარათ გაიზარდა და თქვენ ახლა მის ხორცს შეექცევით, მაგრამ ეგ ხორცი წინეთ ბალახათ იყო, და მაშასადამე ბალახმა მოგცათ თქვენ ეგ საზრდო. თქვენ ამას უთუოთ გაიკვირვებთ და იტყვით: ვის ატყუებ, ბალახიდან ხორცი როგორ გამოვა, სად ბალახი და სად ხორცი. ჯერ ერთი ეს მიბრძანეთ, ძალიანა ჰგავს ერბო რძეს? დიდათ არაფრათ; ერბოზე ხორცი შეენიერათ იხრაკება, მაგრამ სულელი იქნება ის მზარეული, რომელიც რძეზე ხორცის მოხრაკვას მოინდომებს! მაგრამ, ერბო რომ რძიდან კეთდება, ეს თქვენ თითონაც კარგათ მოგეხსენებათ: რძეს შედღვებენ, გამოვა კარაქი და დო; კარაქს გადაადნობენ და მიიღებენ ერბოს. ხორცის საქმეც ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახლავთ: თუმცა ის ბალახს სრულიად არა ჰგავს, მაგრამ ბალახიდან კი კეთდება. თქვენ, შეიძლება, ასე მითხრათ: იქნება ხბოს ხორცი სხვანაირათ მოემატა და გაიზარდა და შენ კი არ გცოდნიაო. ხბო რომ რძისა და ბალახის მეტს ჭამდეს რასმე, მაშინ კიდევ შეგეძლებოდათ ამის თქმა, მაგრამ ხბო მხოლოთ რძეს და ბალახს ჭამს და იზრდება; მაშასადამე მისი ხორციც მხოლოთ რძიდან და ბალახიდან კეთდება; რძეც ხომ ბალახმა გამოიწურა; მაშასადამე ხბოს ხორცი და ძვალი მხოლოთ ბალახიდან მოემატა, აგრეთვე ყველა იმ ოთხფეხების, ფრინველების და თევზების ხორცი, რომლებსაც თქვენ მიირთმევთ, ბალახიდან წარმოდგა: ბალახი რომ არ იყოს, არც ისინი იქნებოდენ; ამ გვარათ ყველა ცხოველის ერთათ ერთი საზრდო მცენარე არის და მცენარე აძლევს ყველას იმ ძალას, რომელიც მათ ამოქმედებს. თქვენ იმასაც მეტყვით: უმცენარეოთ ვერ იცოცხლებენ ის ცხოველები, რომლებიც მარტო ბალახით იკვებებიან, როგორც ხარი, ცხენი, ცხვარი და სხვ., მაგრამ მელა, ლომი, ვეფხი და სხვა მრავალი ცხოველები, რომლებიც მხოლოთ ხორცით საზრდოობენ, ბალახს რაში მოისაკლისებენო. თქვენა ცდებით: ბალახი რომ არ იყოს, არ იქნებოდენ ის ცხოველებიც, რომლების ხორცითაც მელა, ლომი, ვეფხი და სხვა მათგვარი ცხოველები საზრდოობენ! თუ ის ცხოველები არ იქნებოდენ, მაშინ აღარც მელა, ლომი, ვეფხი და სხვ. იქნებოდენ, რადგანაც უსაზრდოოთ ვერც ერთი მათგანი ვერ იცოცხლებდა.

—გეთანხმებით, რომ მცენარე გვასაზრდოებს ყველას და სამოქმედო ძალას გვაძლევს, მაგრამ მცენარეს კი ვინღა მისცა ეს ძალაო? მკითხავთ თქვენ.— მზის სინათლეში არის ერთგვარი შუქი, რომელსაც ქიმიურ შუქს უწოდებენ. ამ ქიმიურ შუქს ისვამს მცენარე და იქიდან იჩენს ზემოხსენებულ ძალას; მზის შუქი რომ არ იყოს, მცენარეთა არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა; აბა ქილაში დათესეთ რაიმე მცენარე და ბნელ სარდაფში დადგით, რომ მზემ ვერ მიაგნოს; ან არ ამოვა და, თუ ამოვიდა როგორმე, არ გაიხარებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგენიძლაევებით კიდეც, თუ გნებავსთ, მაგრამ წააგებთ. ჰაერიდან და მიწიდან მცენარე ისვამს სხვა და სხვა ნივთიერებას და იქიდან ის იშენებს თავის საკუთარ ნაწილებს, რომლებსაც ცხოველები საზრდოთ ხმარობენ.

მცენარეულობა რომ არ იყოს, არც ცხოველები იქნებოდენ, რადგანაც მათი არსებობა უსაჭმლოთ არ მოხერხდება და საჭმლის ერთათ ერთი წყარო კი მცენარეებია. მცენარეულობის არსებობაც უმზეოთ შეუძლებელია. ამ გვარათ ყოველგვარი სიცოცხლის უკანასკნელი მიზეზი ჩვენ ქვეყანაზე არის მზე; მზე რომ არ იყოს, დედამიწაც მკვდარი იქნებოდა და ვერც მე და თქვენ ვიბაასებდით ამდენ ხანს.

ივანე გომართელი.



ხარეგა.

ბაზაფხულის საამო დილა იყო. მოკაშკაშებულ ცაზე მზე მხიარულათ ბრწყინავდა და თავისი ოქროს სხივებით ცელქათ ეთამაშებოდა ახლათ გამოღვიძებულ დედამიწას. ანკარა ნაკადულები ჩხრიალებდენ, ჩუხჩუხებდენ და მზის სხივებ ქვეშ ვერცხლივით ლაპლაპებდენ. აქა-იქ თავი ამოეყოთ დედამიწიდან მწვანე ბალახებს და ადრეულ ყვავილებს. ხეებზე მოჩანდა კვირტები, რომლებიც ნელ-ნელა იშლებოდენ. ტყეებში, ბაღებში და ჭალებში მხიარულათ ჭყიოდენ თბილ ქვეყნებიდან ახლათ დაბრუნებული ჩიტები; ფუსფუსებდენ და ცდილობდენ მოხერხებულ ადგილას გაეკეთებინათ თავის მომავალ შვილებისათვის თბილი ბუდეები.

ერთ ძაღალ ხის ტოტზე სამი ფრინველი მოჩანდა, ერთი უფრო მოდიდო, ორი — კი მომცრო. პირველი — დედა იყო, დანარჩენები — იმისი შვილები. ხმა გაკმენდილები შეხაროდენ ისინი გაზაფხულის შვენიერ დღეს. დედა-ჩიტი ძალიძალ გადახედავდა თავის შვილებს და სიხარული ეხატებოდა პაწაწკინტელა სახეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რას გაჩუმებულხართ, შვილებო, რატომ არ ჭიკ-ჭიკებთო? დაეკითხა დედა-ჩიტი თავის შვილებს.

—რა საჭიროა, დედილო, ჭიკჭიკი, როცა უიმისოთაც მხიარულათა ვართ და სიამოვნებაში ვგრძნობთ თავსაო! ძიუგეს ერთ ხმათ შვილებმა.

—ოღონდაც, შვილებო! ამისთანა დღეს დიახაც შეიძლება შეჭხარულდეს ყოველივე სულდგმული და ტკბებოდეს ბუნების სიტურფითა და შვენიერებითაო, უთხრა დედამ შვილებს, და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა...

—გახსოვს, დედიკო, შენ რო გვპირდებოდი ჩემი სიუმაწვილის ამბავს გიამბობთო? რატომ აღარ გვიამბე? დაეკითხენ შვილები დედას.

ამ კითხვაზე დედა-ჩიტი საშინლათ შეკრთა და რაღაც ფიქრებმა შეიპყრო.

—კარგი, მაშ ეურჩი მიგდეთ და გიამბობთ. მხოლოთ არაოდეს არ უნდა დაივიწყოთ ეს მოთხრობა, რადგანაც ის თქვენთვის ცხოვრებაში გამოსადეგი იქნება! თქვა დედა-ჩიტმა და აი რა უამბო თავის ბარტყებს.

—ეს მოხდა ორი წლის წინეთ. ჩვენ ე. ი. მე, დედაჩემი და ორი ჩემი და საშხრეთისაკენ გასაფრენათ ვემზადებოდით, რადგანაც შემოდგომა იყო და აქეთკენ ძალიან ცივდა. ეზეს ხშირათ სქელი ღრუბლები ეფარებოდენ და სითბოს აკლებდენ. ჩვენ ვისხედით თბილ ბუდეში და ეურს ვუგდებდით დედა ჩვენს. ის გველაპარაკებოდა იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილ ქვეყნებზე, სადაც ჩვენ მივემგზავრებოდით. ამ ლაპარაკის დროს მე ჩამეძინა და ძილში საოცარი სიზმარი ვნახე. ვითომ უცბათ მე გავჩნდი ერთ საუცხოვო ბაღში, სადაც რიგ-რიგათ ჩაშწკრივებულიყვენ მაღალი და სწორე ხეები. ამ ხეებს ბჟუვრიალა ოქროს ფერი კანი გადაჭკრობდა და მისი მწვანე ფოთლები სხვა და სხვა მვირფასი თვლებით იყო მოქარგული. ამის დანახვამ მე სრულიად მომხიბლა. გულის კანკალით შემოვჯექ ერთ ოქროს ტოტზე და ცნობის მოყვარეობით ვათვალიერებდი იქაურობას. უცებ დავინახე ჩემ გარშემო ფრინველები, მაგრამ რა ფრინველები? ოქროს ფთები ესხათ და ეს ფთებიც იმავე თვლებით იყვენ მორთული, როგორითაც ფოთლები. იმათი შვენიერი გალობის ხმა, იმათი მხიარული სტრიპა ტოტიდან ტოტზე სიამოვნების ჟრუანტელსა მგვრიდა. იქნება დიდხანს ვეოფილიყავ ამ ტკბილ ოცნებაში, რომ ამ დროს ჩემი ყურადღება არ მიეპყრო ერთი ფრინველის ხმას.

—რატომ შენც არ ჭიკჭიკებ, შენც ხომ ოქროსი ხარო? მკითხა მე იმან.

—როგორ თუ ოქროსი—მეთქი, ვიფიქრე, დავიხედე ჩემ ტანზე და რას ვხედავ? მეც ოქროს ფთები შემსხმია! ერთი კი შევკივლე სიხარულით და... გამომეღვიძა. გამომეღვიძა და, სწორე გითხრათ, არ მესიამოვნა, რომ უხეირო ბუდეში ვიჯექ და ასე მალე გაჭქრა საამო სიზმარი!

„იქნება ის ედემის მზგავსი ბაღი ქვეყნათ მართლაც არსებობდეს სადმე—მეთქი“ ვიფიქრე და საშინლათ მომინდა იმისი ცხადათ ნახვა. დედაჩემსა და დებს გულიანათ ეძინათ, მე ვისარგებლე ამ შემთხვევით, ამოვიპარე ბუდიდან და მოვკურცხლე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიფრინე, მხოლოთ მალე დაღალვა და შიმშილი ვიგრძენ და ერთ ტრიალ მინდორზე დავისვენე. მიმოვიხედე გარშემო და შორი-ახლოს თვალი მოვკარ პაწაწა სახლს. რა სახლი იყო ის სახლი, უნდა იცოდეთ! კედლებისა და ჭერის მაგივრათ ეკვითელი ოქროს წნელები ჰქონდა გარშემორიგებული და ზედ გაწეობილი, ერთ მხარეს ხის ტოტი ჰქონდა მიმაგრებული, თითქო სახლი ხის ძირშიაო აშენებული. მე გოგმანით გავეშურე ამ სახლისაკენ და სიხარულით კინაღამ თვალთ ცამიბნელდა, როდესაც მის იატაკზე მრავალი სხვა და სხვა მსუქე ხორბლები დავინახე მოჰნეული! პირში ნერწყვი მომივიდა, კბილებმა კაწკაწი და ნისკარტმა ქავილი დამიწყეს; სიფთხილით შეველ იმ სახლში, რომ მშიერი კუჭისათვის რაიმე მიმეწოდებინა და ცარიელი მუცელი ამომევსო. მაგრამ ძლივს ორი ლუკმის ჩაულაპვა მოვასწარ, რომ ი ჩემი ცოდვით სავსე კარები უცებ მიიხურა. შიშისაგან კინაღამ გული გამისკდა და გაშმაგებული აქეთ-იქით ვეცი გამოსასვლელათ, მაგრამ საით წასვალ! ვერსაით გამოსასვლელი კარები ვეღარ ვიხილე!..

მხოლოთ მაშინ მომაგონდა დედიჩემის ნაამბობი ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტ ხალხზე, რომ ისინი მახეებს უგებენ და შიგ იტეუ-ილებენ გამოუცდელ ჩიტებსო. მწარეთ ვნანობდი ჩემ სულელურ მეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო; მოვრთე ევი-რილი, ტირილი, ვაება, გოდება, სანამდისაც ხმა და ღონე შემწევდა!.. რა მოხდა ამას შემდეგ, აღარ მახსოვს!.. გონებაზე რო მოვედი, ისევ იმავე სახლში ვიუავი, მხო-ლოთ ერთ დიდ ოთახში და გარს მეხვივენ ბავშები, ქა-ლები, კაცები და ზოგი რას მაწვდიდა, ზოგი რას, მაგ-რამ მე არაფერს არ ვეკარებოდი!. „თქვე ბორბოტებო! რი-სთვის დამამწევდიეთ ამ სატუსაღოში! რა გინდათ ჩემგან? რა დაგიშავეთ“—მეთქი, ვფიქრობდი.

საშინლათა ვწუხდი, რომ დედა ჩემს ეური არ ვუგდე, ჩემი ნებით მოვშორდი სახლობას და აი ახლა კიდეც იმიტომ გადამხდა გადასავალი!.

რაღა გითხრათ, შვილებო! ძნელი ეოფილა, მეტათ ძნელი ტუვეობაში, დაკეტილ ოთხ კედელ შუა გამომწევდე-ული, მწვანე ჯალებს მოშორებული, მეგობართა და თვის ტომთ მოკლებული ცხოვრება.

იღბალი ჩემი კიდევ, რომ ერთ კვირას შემდეგ ორი სხვა ჩიტიც შეეხსვეს ჩემ ოთახში! ის საცოდავებიც ჩემ-საკით მოეტუებინათ.. მე ცოტათი გავმხიარულდი!... ასე გავიდა შვიდი თვე...

დადგა გაზაფხული, ისეთივე საუცხოვო დღე იყო, როგორც დღეს. ღია სარკმლიდან ცქერით ბუნების სიშვე-

ნიერით ვტკბებოდი და გულით შევნატრობდი თავისუფლათ მფრინავ ჩიტებს: „ოხ ღმერთო, რა კარგია ახლა მინდვრათ ყოფნა! ნეტავი ერთ წუთს მაინც მაფრინა თავისუფლათ“ – მეთქი...

ამ ფიქრის დროს ჩვენი სატუსაღოს კარები გაიღო და ჩემმა მეგობრებმა მიჩურჩულეს:

— აბა, ახლა დრო გვაქვს, გავფრინდეთო!

ჩვენ გავფრინდით და თვალის დახამხამებაში ერთ მახლობელ ჭალაში ამოვყავით თავი!.

— რათ გამოგვიშვეს ჩვენ დღეს? დავეკითხე ჩემ მეგობრებს.

— დღეს ადამიანების ხარებაა, ანუ განთავისუფლების დღეო, მიპასუხეს იმათ: ადამიანები მოვალეობათა თვლიან დღევანდელ დღეს გამოუშვან ფრინველები, გაათავისუფლონ საცოდავი ტყვეები!...

აქ დედა-ჩიტი ცოტა ხანს გაჩუმდა...

— აი, დღესაც ხარებაა, შვილებო და ბევრი ფრინველები ეღირსებიან ძვირფას თავისუფლებასაო! დაბოლოვა დედა-ჩიტმა..

შვილებმა დიდი ეურადღებით გაიმეორეს:

— დღეს „განთავისუფლების დღე“ა! სასიხარულო დღეა...

თეოფ. კანდელაკი.

საკვირველეგანი გუნეგისა.

№ 13 ბამბუკი

ერთხელ შემოქმედმა მოისურვა ქვეყნათ მოსვლა, უნდოდა, როგორც კეთილ მამას, დაეგლო ეოველი ერი, შეეტეო მათი შეჭირვება და მწუხარება და დაეკმაეოფილებინა მათი თხოვნა.

როდესაც ის მიბძანდა ჩინეთის სახელმწიფოში და გამოიკითხა მათი ამბავი, მთელი ჩინეთის ხალხი შეევედრა ერთ ხმათ: „მოგვანიჭე, უფალო, ერთი რამ სასარგებლო ხეო“.

დაჭკრა შემოქმედმა იმავე წამს თავისი მღვთიური ფეხი დედა-მიწას და მიწიდან აღმოცენდა დაუეოვნებლივ ლერწამი.

შემოქმედი ამას შემდეგ გაუდგა, რასაკვირველია, ისევ თავის გზას, რომ ახლა სხვებისთვის დაეხედნა, მაგრამ გზა-გზა ხშირათ უკან-უკან იცქირებოდა, თითქოს მადლობას გამოელის ჩინელებისაგანაო.

ჩინელებმა სრულიად უმნიშვნელოთ ჩათვალეს ეს უბრალო ლერწამივით ბალახი, იდგენ შერცხვენილებივით

თავ ჩაკიდებულები და მადლობის გარდახდა ფიქრათაც არ მოსვლიათ.

გავიდა ხანი, გაიზარდა ლერწამი, და აი ერთ შვენიერ დღეს ნახეს ჩინელებმა, რომ, მათი დაწუნებული ლერწამი უშველებელი რამ გამხდარა: სიმაღლით 10—15 საჟენს უწევს და გარეგანი სანახაობით ხომ ცალი არა ჭუავს და ტოლი.

მალიან გაუკვირდათ ჩინელებს ეს მოვლენა, შერცხვათ თავისი თავისა, შემოეხვიენ გარს ამ უცნაურ ჩალა-ბალახს და შეუდგენ მის თვისებების შესწავლას, ჩქარა შეიგნეს ჩინელებმა მისი სიკეთე: ნახეს, რომ ამ ლერწმისა შეიძლება კაცმა სახლი აიშენოს, გაიკეთოს ნავი, გუთანი და ფარცხი და ეოველგვარი ავეჯეულობა; მიხვდენ, რომ მისი ქერქისაგან შეიძლება დაიგრიხოს საუკეთესო თოკები, მოიქსოვოს კალათები, ქუდები და ნეჯები, გაკეთდეს საწერი ქაღალდი; შენიშნეს, რომ მისი ნორჩი ღოღოშები და ნეკერი კარგია აგრეთვე საჭმელათაც—ნახეს ეოველივე ეს და მათ სისარულს საზღვარი არა ჭქონდა.

და ეს ასეთი შესანიშნავი ლერწამი იყო ბამბუკი.

ასე მოკვითხრობენ ჩინელები ბამბუკის ამბავს:

ბამბუკი ბალახეულთა მოდგმისაა. იცის ჩინეთში, ინდოეთში და ინდოეთის მასლობელ კუნძულებზე. სიდიდით კაი დიდრონ ხეებსაც არ ჩამოუვარდება. სარგებლობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ბევრი ვერ მოვა იმასთან, ვერც ხე, ვერც ბუჩქი და ვერც ბალახი.

მართლაც და, შესანიშნავია ამ მხრივ ბამბუკი. რას იტუვის კაცი ისეთს, რომ ბამბუკი ეველაფერში არ გამოდგეს; ბამბუკი ჩინელი კაცისათვის თითქმის რომ ეველაფერია.—ის არის მისი ჭერი, მისი სახლი და კარი, სადაც ის განცხრომით ატარებს თავის წუთი-სოფელს; ის არის მისი გუთანი, რომლითაც ეოველ წლობით აბრუნებს დედა-მიწას, მისი გოდორი, რომლითაც მიეზიდება მიწის მოსავალს; ის არის მისი ნავი, რომლითაც დადის ზღვასა და მდინარეებში, მისი ქოლგა და ქუდი, რომლითაც იჩრდილავს თავს მწვავე მზის სხივებისაგან; ის არის მისი ფარდაგი, მისი ლოგინი; ის არის მისი სკამი და მაგიდა, მისი კიდობანი, მისი წელის ჭურჭელი, მისი დასაკრავი იარაღი, მისი საჭმელი, მისი კალამი და ქაღალდი, მისი ტაბარი და სალოცავი კერპი.

აბა ახლა თქვენ მითხარით თითონ: შეინანეს ჩინელებმა თუ არა თავის წინაპართა უმადურობა და აღუთქვეს თუ არა ეოვლად შემძლებელ ღმერთს, რომ ისინი უსათუოთ ბოდიშს მოიხდიან მის წინაშე, უკეთუ ის კიდევ ოდესმე მოევლინება ქვეყნათ ჩინელებს.

ლადო აღნიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუელინი და მისი ძაღლი.

(ინგლისურიდან)

ველში ცხოვრებდა ერთი მდიდარი მემამულე, სახელათ ლუელინი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ნადირობა. ერთ დილას, როცა სანადიროთ წასვლას ემზადებოდა, ერთი ძაღლი, რომელსაც გილართს ეძახდენ, პატრონის დაძახებაზე არ მოვიდა. ლუელინმა დაუკრა საყვირი, რომლის ხმასაც დაჩვეული იყო ძაღლი, და თანაც ძაღალი ხმით უყვიროდა, მაგრამ ძაღლი მაინც არსად ჩნდა. ამან ძლიერ დააღონა ლუელინი და წყენით გაიძახოდა: ,,სადა ხარ, ჩემო გილართ? როგორ მოხდა, რომ არ გესმის ჩემი საყვირის ხმა? სადა ხარ ჩემო წყენარო და მშვიდო სახლში, მაგრამ გაიფთრებულო ლომო ნადირობაშიო!'' ამ დღეს ლუელინი იძულებული გახდა უგილართოთ წასულიყო სანადიროთ. ბევრი ვერც ვერაფერი ინადირა იმ დღეს ლუელინმა, რადგან მისი გილართი თან არ ახლდა. როცა ნადირობა გაათავა ლუელინი დაღონებული გამობრუნდა სახლში. ეზოში მან დაინახა თავისი საყვარელი ძაღლი, რომელიც

ბატრონის შესახვედრათ მორბოდა. ლუელინი მივიდა სახლის კარებთან და უეცრივ გაოცებული შედგა: მან მხოლოთ ახლა შეამჩნია, რომ მისი ძაღლი სისხლში იყო შეღებილი. ლუელინი გაკვირვებული შეცქეროდა ძაღლს, მას ვერ წარმოედგინა ასე უცებ რა მოხდა. ეს გაოცება თითქო ძაღლმაც შეამჩნია ბატრონს და დაუწყო ალერსი და ფეხების ლოკვა. ლუელინს თითქო რაღაც მოაგონდაო, შეშინებული საჩქაროთ შევიდა ოთახში, სადაც ძაღლიც თან შეჰყვა. საითაც მიიხედა ლუელინმა, ყოველგან სისხლის ტბა იდგა. მიუახლოვდა ტახტს და ნახა ბავშის ლოგინი ანგრეული და საბანი გასისხლიანებული. ამ საზარელ სანახავზე ლუელინს ელდა ეცა. მან დაუწყო ძებნა და ძახილი თავის შვილს, რომელიც მძინარე დატოვა ქვეშაგებში. მაგრამ ბასუხი არსაიდან ისმოდა. მსწრაფლ მოუბრუნდა ლუელინი ძაღლს სანჯალ ამოღებული და შეჰყვირა: „მხეცო, შენ შეჭამე ჩემი შვილიო?“ და ამ სიტყვებთან ჩაჭერა მას ხანჯალი გულში. საბრალო ძაღლი დაეცა ძირს, მაგრამ ლუელინი არ გრძნობდა სიბრალულს; მხოლოთ როდესაც მოესმა თვისი საყვარელი მომაკვდავი ძაღლის უკანასკნელი ხრიალი, ლუელინს თითქო გული მოუკვდა. ძაღლის უკანასკნელ ხრიალს უეცრივ ხმა მოსცა ბავშის ძახილმა. ლუელინი შეკრთა ამ ხმაზე, ის სწრაფათ მივარდა იმ ალაგს, სიდანაც ხმა ისმოდა და რა ნახა? ნახა, რომ ბატარა შვილი უვნებელათ მიკრუნჩხული-

ეო კუთხში, მის გვერდით კი ეგდო დაგლეჯილი უშველებელი მკვდარი მგელი. ოხ! წარმოუდგენელი იეო ლუელინის მწუხარება, როცა მისვდა, რომ მგელი მოჰკლა მისმა მამაცმა ძაღლმა და მით შვილი გადაურჩინა სიკვდილს. მაგრამ რაღა დროს! ამაო იეო ლუელინის ჯავრი და სინანული. მწუხარე, ლუელინმა თავის საყვარელ ძაღლს გაუკეთა მვირფასი ძეგლი, რომელზედაც ეწერა მისი, გილართის, ერთგულება, იქვე დაუკიდა საყვირი და ისარი, იმის ნიშნათ რომ მეც შენთან ერთათ ვეთხოვები საუკუნოთ ნადირობასო. მაგრამ ლუელინი მაინც არ იეო მოსვენებული; ხშირათ როცა საღამოობით იჯდა ხოლმე ფიქრებში გართული, მოესმოდა მისი მვირფასი გილართის უკანასკნელი ხრიალის ხმა და მწარეთ ამოიკვნესებდა.

ინგლისელი ქალი.



სწავლული შვილი.



ვილი დაბრუნდა ქალაქიდან მამასთან სოფელში. მამამ უთხრა: „შვილო! ახლა მკის დროა, აიღე ფოცხი, წამოდი — მიშველეო“. შვილს კი მუშაობა არ უნდოდა და უთხრა მამას: „მე წიგნს ვსწავლობდი, თქვენი გლეხური სიტყვები დამავიწყდა. არ ვიცი რა არის ფოცხიო“ თქვა ეს თუ არა, გამოვიდა ეზოში გასასეირნებლათ, დაადგა ფეხი ფოცხს; ისიც აიწია და მძლავრათ რეხვა თავში. მაშინ კი გაახსენდა ჩვენ სწავლულს, თუ რა არის ფოცხი, იტაცა შუბლზე ხელი და დაიყვირა: „ნეტავი ვინ იყო ის ბრიყვი, რომ აქ ფოცხი დაადგოვო“!

ვ. ს — ძე.

სამეცნიერო გასართოგი

№ 4.

ტანგრამი

ამოსჭერ ერთი გოჯის სიგრძე ოთხ კუთხი კარდონი სწორეთ ისე, როგორც აქა გვაქვს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატული (იხ. სურ. 1.). მერე კარდონის ორივე მხარეზე გაიუვანე ირიბი ხაზება „ა-დ“ და „ბ-გ“ და იქ, სადაც გადასჭრის ერთი ხაზი მეორეს, იმ წერტილზე გაიუვანე ერთი სწორე ხაზი „ვ-ზ“. ეს ხაზები საჭიროა იმისთვის, რომ კარდონის ორივე მხარეს ერთსა და იმავე წერტილზე მოვიდეს სურათები.





(სურათი 1.) (სურათი 2.) (სურათი 3.)

კარდონის ერთ მხარეს დახატე ჩიტი ისე, რომ ჩიტის ფეხები მოვიდეს სწორეთ წერტილზე „ე“ და ისე გამოვიდეს, ვითომ ჩიტი შტოზე იჯდეს (იხ. სურ. 3.) მეორე მხარეზე დახატე გალია და გალიის ქანდარათ მოიუვანე ისევ ის ხაზი „ვ-ზ“ (იხ. სურ. 2). მაშინ მოაბი ძაფები კარდონს იმ ადგილს, სადაც თავდება ხაზი „ვ-ზ“ და დაატრიალე მარდათ.

კარდონი რომ დატრიალდება ისე გამოვა, თითქო ჩიტი გალიაში სისო.

შეიძლება სურათის მაგიერ დაიწეროს სიტუვებიც, ხოლო ერთ მხარეს რომ ერთი ასოები იუოს დაწერილი, მეორე მხარეს უნდა ეწეროს ის ასოები, რომლებიც ჰირველ სტრიქონს აკლია შუა და შუა. ამასთანავე ძალიან კარგათ უნდა იუოს გამოზომილი მანძილი ასოებ შუა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ორივე ბირის ასოები ერთი მეორის შუა მოდიოდეს, ა ე მაგალითათ:

ს მ ც ი რ გ ს რ ო ი

ა ე ნ ე ო ა ა თ ბ

ამისი ასე წაკითხვა, თუ კარდონს არ დავატრიალებთ, რასაკვირველია, შეუძლებელია, რადგან ორივე სტრიქონი სრულიად უაზროა; მაგრამ თუ კარდონს მარდათ დაატრიალებ, — გამოვა: „სამეცნიერო გასართობი“.

ამ სათამაშოს შეცვლა ძალიან ბევრნაირათ შეიძლება. შეიძლება დასატო ერთ მხარეს თავშიშველი კაცი, მეორე მხარეს ქუდი; ერთ მხარეს კაცის თავი, მეორე მხარეს თავ მოჭრილი ტანი კაცისა; ერთ მხარეს მგელი, მეორე მხარეს საფანგი და სხვა.

აი აქა გვაქვს ჩვენ კიდევ მეორე სურათი: ველური კაცი და გაჭენებული ცხენი. კარდონის ტრიალით გამოვა, რომ კაცი შეახტება გაჭენებულ ცხენს ანუ ვარდება ცხენიდან. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ საით უზამ კაცს თავს: ქვევით თუ ზევით.

ცვლა ამ სათამაშოსი შეიძლება კიდევ ბევრნაირათ, რომ ძალიან დაჭვრიტო ძაფები და ძალიან მარდათ დაატრიალო, მაშინ ერთი სურათი წინ დადგება, მეორე იმის უკან; რომ ძაფები ან ცოტა ზევით ასწიო ან ცოტა ქვევით დასწიო და ზედ შუაზე არ იყოს მიბმული, მაშინ კიდევ სულ სხვა გამოვა.

ბორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ა ლ ხ უ რ ი.

(გაგონილი მაია ახობაძის ქალისაგან; ჩაწერილი ლადო იაშვილისაგან).

ამას რომ მარტი შეიტყობს,
დანითა იჭრის ყელსაო:
—ვის უბედავ, თებერვალო,
ვისა ჰკადრებ ჭკუა თხელსა!.. —
ჩემზე მეტი შენ რითა ხარ?
სასიკვდილე შენა დღესა?..
ყოველ ნაყოფს ავაყვავებ,
ბროწეულს და ლეღვის მეტსა;
პურები ყველგან კარგი მაქვს,
ახლა ვახვევ ვენახებსა;
საქონელსაც ვათამაშებ
მსუქანსაც და მეტათ მჭლესაც,
თუ სადმე ტანში უდგია
მუნს კი გამოვუჩენ ცხენსა.
ცოტათ გულ ფიცხი კაცი ვარ,
მალმალ გამოვიცელი ზნე'სა:
დღეში სამჯერ ავათოველებ,
სამჯერ გამოვიყვან მზესა.
ზარმაცი კაცი თუ არ არს
საქმეს არ აუშვებს ხელსა.
ოცდა ცხრა დღეი ვადა მაქვს,
ორ დღეს ვშვები სხვაზე მეტსა.
აპრილი რიღას მქნელია,
რომ იღებავს ულვაშებსა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ვანო ლალიაშვილისაგან).

სოფელო ცრუო, მტყუანო!
სიბრუნდავისა მახეო;
ზოგსა ცათამდის აიყვან,
ზოგსა უკულმა აქცევო.

რომელ უნცროსს უფროსის სიტყვა ესმის,
იმის ვენახს ბევრი ყურძენი ესხმის,
მარგალიტი კრიალოსნათ აესხმის,
და მის ქვეერში ბევრი ღვინო ჩაესხმის.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

რომელი ძაღლიც არა ჰკბენს—შორიდან იყეფებაო.

გ ა მ ო ცა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ივ. გომელაურისაგან)

იხვი წყალში—კუდი ცაში.

ერთი სტუმარი მესტუმრა მის დღეში უსტუმრებელი,
მას მე საჭმელი მივართვი სუფრაზე დაუდებელი.

ღორს კოჭამდის არ მოსწვდება, კაცზე უმაღლესია.

(წარმოდგენილი ი. ბელიაშვილისაგან).

ღობის ძირში კვახიაო—დედამიწა გახიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკური გამოცანა.

(წარმოდგენილი ვ. ჩაჩავასაგან).

ჩვენ გვაქვს ერთი თუმანი (ათი მანეთი); ამ ფულით უნდა ვიყიდოთ: თითო აბაზათ თითო ქათამი, ორ-ორ აბაზათ-თითო ბატი, თითო კაპეიკათ თითო კვერცხი, ისე რომ სულ ყველა ერთათ გამოვიდეს ასი ცალი. აბა გამოიცანით რამდენი ქათმის, რამდენი ბატის და რამდენი კვერცხის ყიდვა შეგვიძლია.

უჯრების გამოცანა.

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავ. მიშა წერეთლისაგან)



ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები რომ გამოვიდეს რომელიმე ლექსი: ა, კ, მ, ა, ს, ა, ე, ო, ა, ნ, რ, ვ, დ, ა, ბ, ნ, ე, ც, ა, ვ, წ, ე, თ, ც, ე, ბ, ვ, ბ, ი, დ, ს, ა, ე, ი, ს, ჩ, ც, რ.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი წუკიასაგან)

პირველი არის მარჯვენა,
მძლავრი მშრომელის დიდება!
მეორე—ბალი, როცა მას
ჭიე-ჭაეი მიეფინება!—

ორივე არის მალალი,
რომლის შიში გვაქვს ყველასა;
ზარდაცემულნი მტრისაგან
იმისგან ველით შველასა.

№ II გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ირემი—იმერი, 2) გუთანი, 3) ნიგოზი, 4) ჩიბუხი.

შარადა: მადლი, ადლი.

რებუსი: გაიგე მინდა შენსავით გულით ეიხარო.

რებუსი, შარადა და ზოგი გამოცანები ახსნეს თფილისში სამაციციშვილმა და ქ. გორში: დათიკო მაჭავარიანმა, ვანო ლალიაშვილმა და ნიკოლოოზ მერაბიშვილმა.